საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 25 ივნისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი**. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 141 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 141

შაბათს, ივნისის 26-ს

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, ივნისის 26-ს

საღამო კომპოზიტორ სულხანიშვილის მუსიკისა

საღამოს გახსნის შესაფერ სიტყვით დამსახურებული მსახიობი **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.**

1 **ქართული ეროვნული ჰიმნი „ღმერთო ღმერთო"** შეასრულებს კაპელლა და სიმფონიური ორკესტრი. **კომპ. არაყიშვილის** დირიჟორობით.

II

1. ვ. კოტეტიშვილი: „უმხეო კომპოზიტორი", 2. კომპ. არაყიშვილი: „სულხანიშვილის ხსოვნას", 3. ალ. ახმეტელი: „მოგონება", 4. გ. ქუჩიშვილი: ლექსი „შენ სამარესთან", 5. ბაბო სულხანიშვილი: ბიოგრაფ.

III

1. „სულთა თანა": შეასრულებს კაპელლა, 2. „მაშ გამარჯვება": შეასრულებს კაპელლა, 3. „მესტვირული": შეასრულებს კაპელლა. სოლოს შეასრულებს ცნობილი ბარიტონი მღ. დ. სალარიძე. 4. „დაიგვიანეს" არია მწყემსისა ოპ. პატარა კახიდან, შეასრულებს **ივ. სარაჯიშვილი,** 5. „ძლივს მარტო დავრჩი" არია ირაკლისა ოპ. „პატარა კახიდან" შეასრულებს **მ. ნანობაშვილი,** 6. „მო, ზუალო" უკანასკნელი ნაწარმოები—რომანსი განსვენებულისა შეასრულებს ივ. ბიწკინაშვილი, 7. „წმინდაო ღმერთო" ტრიო ბბ. **შაშიანელი, გარე-კახელი** და **გურჯანელი,** 8. „ტურფავ მოდი", პირველი ნაწარმოები განსვენებულისა ახალგაზდობაში—შეასრულებს იგივე ტრიო, 9. „გუთნური"—სიმფონია შეასრულებს კაპელლა. სოლოს შეასრულებს **ივ. ბიცკინაშვილი,** 10. „სამშობლო ხევსურისა", შეასრულებს კაპელლა. სოლოს **ივ. ბიცკინაშვილი.**

IV

1. აპოთეოზი—სცენა ოპ. „პატარა კახიდან" ქოშის მთაზე ალ. მაისურაძის გუნდი.

მთელი შემოსავალი გადიდება განსვენებულის ოჯახის სასარგებლოდ.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

ბილეთები დღეიდანვე გაიყიდება თეატრის კასაში.

(6. 2—1)

საღამოს გამგე **ალ. ახმეტელი.**

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულდათუთქულნი მშობლები ივანე მერაბის ძე ბახტაძე, მეუღლე მისი შალიკო პავლეს ასული, შვილები ნადეჟდა ივანეს ასული იაშვილისა, ოლღა ივანეს ასული ბახტაძე—სიძე ნიკოლოზ დავითის ძე იაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

ლიდიკო ივანეს ასული ბახტაძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში 26 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე საკუთარ სახლიდან წმ. გიორგის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი ბიძა მიხეილ მერაბის ძე ბახტაძე, ბიცოლა ბარბალე გაბრიელის ასული, თამარა და გოგი ბახტაძეები გულითადი მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი ძმისწულის

ლიდიკო ივანეს ასულის ბახტაძისას

(2025 1—1)

ღრმათ დამწუხრებული გიორგი და კლასი ამადლობელი დიდ მადლობას უცხადებს ყველა მათ, ვინც მათი

პატარა ვალიკოს

გარდაცვალების გამო მათი მწუხარება გაიზიარა. აგრეთვე მადლობას უცხადებთ ლენას, კ. გერგესელს, კ. კრავეიშვილს, ფაცია და კოწია ცინცაძეებს თანაგრძნობის დეპეშების გამოგზავნის გამო.

(2036 1—1)

---

23 ივნისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქუთაისის გაბრიელის სკოლის მეორე კლასის მოწაფე

ზინა ალექსანდრე სანიკიძის ასული

რასაც დამწუხრებული აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს მშობლები ალექსანდრე თემურაზის ძე, მეუღლე მისი ოლღა სიმონის ასული და შვილი მათი ქეთევან სანიკიძეები. გთხოვენ დაესწროთ მიცვალებულის გამოსვენებას დღით შაბათს, 26 ივნისს სრულ 4 საათზე. გამოსვენება მოხდება საკ. სახლიდან კახიანაურის ქუჩა, დაკრძალვა საფირჩხის სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე.

(2035 1—1)

სოფ. ბუქსიეთის (გურია) ახლად აწყობილი საქსოვი ქარხნისათვის საჭიროთ

საჭიროა სპეციალისტი მქსოველი მასწავლებელი

პირობების გაგება წერილობით თუ პირადათ შეიძლება: ჩოხატაური, ბუქსიეთის საქსოვი ქარხნის გამგეობას. თფილისი, სასტუმრო „იბერია", პ. ყლენტთან.

(2031 1—1)

სახელმწიფო თეატრი

კვირას, 27 ივნისს, 1920 წელს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ განმანათლებელი განყოფილება გამართავს პირველათ თფილისში დიდ სახალხო ვოკალურ-ინსტრუმენტალურ კონცერტს, რომელზედაც მოხდება საგვარდიო მარშების შეჯიბრება-არჩევანი.

1 განყოფილება.

1) ამირანი სიმფონიური პოემა	ქ. ფოცხვერაშვილისა.
2) უვერტიურა „თამარ ცბიერიდან"	მ. ბალანჩივაძისა.
3) ბალეტი	მისივე.

შეასრულებს სახალხო გვარდიის გაძლიერებული საკონცერტო ორკესტრი ქ. ფოცხვერაშვილის და ვ. მიზანდარის ლოტბარობით.

2 განყოფილება.

ამ განყოფილებაში საგანგებო ჟიურის დასწრე საზოგადოების მიერ მოხდება მთავარ შტაბისადმი საკონკურსოდ წარმოდგენილი თორმეტი მარშის შესრულება და ამათგან სახალხო გვარდიისათვის მუდმივი მარშის არჩევანი, რომლის ავტორს საჯაროთ უნდა მიესაჯოს მთავარი შტაბის მიერ დანიშნული ათი ათასი მანეთის (10,000 მან.) ჰონორარი.

მარშებს შეასრულებს იგივე გაძლიერებული საკონცერტო ორკესტრი ვ. მიზანდარის ლოტბარობით.

საკონკურსო ჟიურის შემადგენლობა გამოქვეყნებული იქნება 27 ივნისისათვის პრესის საშუალებით:

3 განყოფილება.

ქართული ხალხური სიმღერები და კილოები ხმა შეწყობილი გვარდიაში და ჯარში გასავრცელებლათ (კონკურს გარეშე).

ა) მარტო ორკესტრისათვის.

1) ლოცვა ქართველი ერისა	ქ. ფოცხვერაშვილისა.
2) იამბიკო (ქართული ჰიმნი 12 საუკ.)	მისივე.
3) ლაშქრული (ქართული საომარი სიმღ.)	მისივე.
4) მგზავრული	ზ. ფალიაშვილისა.
5) ალიფაშა	ქ. ფოცხვერაშვილისა.
6) მხედრული (პირველი ქართული მარში)	მისივე.

ბ) გუნდისა და ორკესტრისათვის.

1) მრავალ ჟამიერ	ზ. ფალიაშვილისა.
2) მაყრული	მ. ბალანჩივაძისა.
3) ძლევის სიმღერა	ქ. ფოცხვერაშვილისა.
4) კუჩხა	მისივე.
5) საომარი სიმღერა (ცხენოსნური)	მისივე.
6) დილი-დილა	მისივე.

შეასრულებს გაძლიერებული ქალ-ვაჟთა გუნდი დივიზიონის ორკესტრის მოძახილით ქ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში. (6. 3—2)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

1) პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საეროზო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან. 2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით. 3) მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისაში ნედლში მიეცემა 3000 მ. მეორე ხარისხის პარკში—2800 მ. 4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ რწმუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით. 5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ. 6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული. 7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ. მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.** მთავარი რწმუნებული **ს. ქუთათელაძე.** (6. 15—8)

მეაბრეშუმეთა, ეროზათა, კოოპერატივთა და კერძო ვაჭართა საყურადღებოდ.

ვისაც სურს ნედლი პარკის **ოცდა ოთხ საათში** გამოხრობა და თან საუკეთესოდ გამოხმობა

ვისაც სურს **მაღალის ღირსების** გამხმარი პარკის მიღება და სხვებთან ყველასთან შედარებით

ბევრად იაფად

დაუჯდეს პარკის გამოხმობა

ვისაც სურს წმინდათ **გაარჩიოს** პარკი სხვადასხვა ჯუროდ, მარსელის ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით, მთავრობის ჩასაბარებლად

იმან უეჭველად მხოლოდ

ჩვენი მექანიკური ჩარხის **გამოსახრობ-გამოსახმობი** ქარხნით უნდა ისარგებლოს

რომელიც მეცნიერების უკანასკნელი სიტყვაა და დღეში ორი ათას ფუთამდე ნედლ პარკს ახმობს. ეს ქარხანა ჯერდება სულ მცირე მოგებით, ადმინისტრატიული ორგანიზაცია მარტივი აქვს და ღირებულება ქარხნის ძვირად არ უზის. ეს ქარხანა **სხვა ქარხანაში** არ აურიოთ. ეს ქარხანა მდებარეობს სამტრედიაში, **ორპირის ქუჩაზე,** სადგურის პირდაპირ, დეპოს მახლობლად, სადაც შეგიძლიათ ნახოთ დაწვრილებით პირობების გასაცნობათ თვით ხელმძღვანელი ამ ქარხნის **სამსონ ასათიანი.** წერილების და დეპეშების მისამართი: სამტრედია სამსონ ასათიანს.

(1994—3—2)

მასწავლებელი

ს. ა. გრიაზნოვი

იყვანს შეგირდებს მოსამზადებლად შემოდგომის გამოცდებისათვის. მისამართ. ვერა, იზმაილოვის შესახ. სახ. 6., ბინ. 8.

(2019—3—2)

თავისუფალი კრიტიკა და რკინის დისციპლინა

პარტიულმა ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა. დღეს თუ ხვალ დავბეჭდავთ ცალკე წიგნაკათ რეზოლიუციებს. სიტყვა ეკუთვნის ახლა ადგილობრივ ამხანაგებს, სიტყვა, რომელიც უნდა გადაიქცეს ყოველ დღიურ საქმეთ.

საჭიროა ამ რეზოლიუციების საფუძვლიანათ განხილვა თითეულ ორგანიზაციაში. ეს მოხდება, ალბათ, როცა დელეგატები მოხსენებებს გააკეთებენ. განხილვის შედეგი, რასაკვირველია, არ იქნება ამა თუ იმ რეზოლიუციის შეცვლა-შესწორება. ამ მხრივ მარტო ყრილობას შეუძლია თავისი დადგენილების გადახედვა.

ადგილობრივმა ამხანაგებმა უნდა იქონიონ მხოლოდ ნათელი წარმოდგენა იმ კამათის შესახებ, რომელიც ხდებოდა ყრილობაზე ყოველი კითხვის გარშემო. ეს შეიტანს გონებრივ სიცოცხლეს პარტიულ მუშაობაში. დისციპლინა არასოდეს არ მოითხოვდა ჩვენში შეუგნებელ დამორჩილებას. როგორც პოლიტიკურ მართვა-გამგეობაში, ისე წმინდა პარტიულ კითხვებში ჩვენ გვწამს უფრო ნებაყოფლობა, ვიდრე ძალდატანება და იძულებითი საშუალება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლა საჭიროა საკეთებელი საქმის შესასწავლათ. უამისოთ არ მოხერხდება ნამდვილი პასუხისმგებლობა.

ყრილობა პასუხისგებას მოითხოვს წევრებისგან. ახლანდელ რთულ პირობებში საჭიროა ჩვენი ძალების მოკრება. პიროვნული ნება უნდა დაუმორჩილდეს იმ დიდი ერთეულის ნებას, რომელსაც ეწოდება პარტია. რამდენათ უფრო შეგნებული და ნებაყოფლობითი იქნება ეს დამორჩილება, მით უკეთესია ჩვენი მოღვაწეობის გასანაყოფიერებლათ.

შინაგანი დისციპლინა ახალი ამბავი არ არის ჩვენი პარტიისთვის. ანარქიული ავათმყოფობა არას დროს არ გვაწუხებდა ჩვენ. ზოგიერთ სხვა ქვეყნების ს. დ. პარტიაში ყოველი პრინციპიალური კითხვის გარშემო ხდება ჯგუფური დანაწილება, ათასნაირი მიმდინარეობა იკიდებს ხოლმე ფეხს. აქ, პირიქით, აზროვნული ცალკ-ცალკეობა არ არღვევს პარტიის მთლიანობას.

არ დარღვეულა ეს მთლიანობა არც ახლა, როცა ყრილობაზე ოპოზიცია შეადგენდა ერთ მესამედს. ოპოზიცია ეხება მარტო ერთ კითხვას,—შეიძლება თუ არა მთავრობის და ცენტრალური კომიტეტის შეთავსება ფუნქციების და შემადგენლობის მხრივ. ოპოზიცია წინააღმდეგია შეთავსების. ეს, მისი აზრით, ხელს უშლის ზედამხედველობას და პასუხისმგებლობას. არ შეიძლება რომ ერთი და იგივე პირი ზედამხედველიც იყოს და პასუხისმგებელიცო.

მთავრობის და ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ჟორდანიამ ყრილობაზე სამართლიანათ შენიშნა, რომ ცენტრალურ კომიტეტში 21 წევრია, მთავრობაში კი ექვსი, როგორც არ უნდა მოეწყოს კრიტიკა და პასუხისგებაო.

ახლა ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს 25 ამხანაგი. ოპოზიციას არ აქვს საფუძველი იფიქროს, რომ აქ მოუხერხებელი იქნება ის, რაც მისი და ჩვენი აზრითაც საჭიროა პარტიაში.

არც ერთ სხვა კითხვას ყრილობაზე არ გამოუწვევია უთანხმოება. ვიყავით და დავრჩით მთლიანი ფრონტი. ასე შევხვდებით ყოველ ჩვენ მოწინააღმდეგეს გარედან მოსულს.

ჩვენ არ ვართ იმ ოცნების მომხრე, რომელიც მოითხოვს პიროვნების სულ დავიწყებას და მარტო საზოგადო საქმის ხსოვნას. არა გვწამს მოვალეობა იქ, სადაც არ არის უფლება. პარტიული ამხანაგი მოვალეა შეასრულოს ის, რაც მიენდობა ან დაევალება ხელმძღვანელი ორგანოსგან. იმავე დროს ყველა ამ ამხანაგს უფლება აქვს პარტიულ კრებაზე და პარტიულ პრესაში სავსებით გამოთქვას ხოლმე თავისი კრიტიკული აზრები.

ეს უფლება ყოველთვის იყო ჩვენ პარტიაში. ახლა ეს ხაზ გასმით არის ნათქვამი ყრილობის ერთ რეზოლიუციაში, რომელიც შეეხება პარტიულ გამომცემლობას. ჩვენ გვაქვს ორი გაზეთი, უნდა გვქონდეს ამას გარდა კიდევ ერთი გაზეთი, თვიური ჟურნალი, უნდა მოვაწყოთ წიგნაკების გამოცემა.

ეს საკმაო ასპარეზია ჩვენი აზრთა სხვადასხვაობის გამოსახატავათ.

თავისუფალი კრიტიკა და რკინის დისციპლინა, აი რა ეწერა და დღესაც აწერია ჩვენი პარტიის დროშას.

დიპლომატია?

პრეზიდენტმა ებერტმა კათოლიკეთა პარტიის ხელმძღვანელს ფორენბახს მიანდო მთავრობის შედგენა. როგორც დეპეშებიდან სჩანს, სოციალისტები (არც მეუმრავლესეები და არც დამოუკიდებლები) ამ მთავრობაში არ შესულან. ამ ნაირად მთავრობა დგება მემარჯვენე პარტიებისგან. ზოგიერთი ცნობების თანახმად გერმანიის დღევანდელ ხელმძღვანელ წრეებს სურთ მომავალ სპას კონფერენციაზედ წარსდგენ მთელი თავისი ბურჟუაზიული სახით და ამით მოკავშირეთა თვალში „ნდობა" მოიპოვონ. ჩვენი აზრით ასეთი დიპლომატიური ნაბიჯით გერმანიის ახალი მთავრობა ვერაფერს მოიგებს. მისი ავტორიტეტი თავიდანვე შეირყევა საერთაშორისო დემოკრატიაში და თვით გერმანიის ხალხში, რომლის ნახევარი სოციალიზმის დროშის ქვეშ სდგას. ასეთი მთავრობა დიდ ხანს ვერ იარსებებს. მეორე მხრივ, თუ მართლა აქვთ გაგება გერმანიის მეუმრავლესეებს თანამედროვე საერთაშორისო და მათი ქვეყნის ნამდვილ მდგომარეობის, ისინი იძულებული იქნებიან მონახონ საერთო ენა დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიებთან და ხელი შეუწყონ ნამდვილი სოციალისტური მთავრობის შედგენას. მთელი მომქმედი და ენერგიული ნაწილი საზოგადოების, რომელსაც შეუძლიან საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლა, მათ მხარეზეა. მიუხედავად ომის მიერ გამოწვეულ ეკონომიური კრიზისისა, მათი ორგანიზაციები ძლიერია. მცოდნე და გამოცდილი ხალხი მათ აუარებელი ჰყავთ. საჭიროა მუშათა კლასმა საერთო ენა მონახოს სოციალისტურ პლატფორმაზედ და ამით დაიწყება ახალი ხანა არა მარტო გერმანიისთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც.

ბ. თეკლათელი.

პ რ ე ს ა

„კომუნისტი" აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ საქართველოში ამხედრებულნი არიან ყველა დანარჩენი პარტიები, განურჩევლად მიმართულებისა.

„კომუნისტები ყველას ერთნაირათ ყავს ამოღებული მიზანში. ყველას თვალში კომუნისტი საქართველოს დამოუკიდებლობის დაუძინებელი მტერია; ყველანი ერთხმათ ამტკიცებენ, რომ კომუნისტები მარტო იმას აკეთებენ, რომ როგორმე საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას ძირი გამოუთხარონ, რომ ისინი ღალატობენ ქართველ ხალხს და სხვ. და სხვ. როცა ამას ამბობენ დენიკინ-ვრანგელის თაყვანისმცემლები და ბანკირების და სპეკულიანტების წარმომადგენლები, ეს გასაკვირალი როდია. მაგრამ როცა ამას იმეორებენ ისინი, ვისაც ხელში სიტყვით მაინც სოციალიზმის დროშა უჭირავთ, ეს პირდაპირ გასაოცარი, დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ეს ფაქტია".

ასეთი ერთსულოვნობა მთელი ხალხისა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მწარედ ჩააფიქრებდა კაცს, რომელსაც ცოტა მაინც ესმის რამე ხალხის წინაშე პასუხისმგებლობისა. მაგრამ ჩვენებურ კომუნისტებს ეს კიდევაც ახარებს; ასეთ ერთსულოვნობიდან მათ სულ სხვა დასკვნა გამოჰყავთ.

„ის გარემოება, რომ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ დღეს დაირაზმენ ყველა პარტიები, აშკარა შავრაზმელებიდან დაწყებული ვიდრე სოციალ-დემოკრატებამდე, ჩვენთვის მოულოდნელი არ არის, ვინაიდან დღევანდელი რევოლიუციის დროს სავსებით გამოაშკარავდა, რომ მშრომელი კაცობრიობის ინტერესებს ბოლომდის მხოლოდ კომუნისტური პარტია იცავს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო უნდა აუხილოს თვალი ჩვენს მუშებს და გლეხებს".

თვით „კომუნისტის" სიტყვებიდანვე აშკარა ხდება, რომ საქართველოს მთელი ხალხი ერთს ბანაკს შეადგენს და ეს ბანაკი გადაჭრით უარჰყოფს ბოლშევიზმს. ამ ბანაკში მოთავსებულია საქართველოს მთელი მუშა-კლასი და მთელი გლეხობა, რომელსაც უკვე „თვალი აეხილა" მას შემდეგ, რაც ბოლშევიკური ავანტიურიზმის წყალობით, რუსეთი ბუმბერაზულ ნაბიჯით წავიდა დაღუპვისაკენ, ვინღა დარჩა საქართველოში კომუნისტების ბანაკში? როდესაც „კომუნისტი" დენიკინ-ვრანგელის მომხრეებს გაიხსენებს, ვურჩევთ ჩუმათ იყოს, რადგან ყველა ის ელემენტები, რომლებიც $^1/_2$ წლის წინათ გულის ფანცქალით ელოდებოდენ დენიკინის ჯარების შემოსვლას საქართველოში, ისინიც კი, რომლებიც ჩვენ ბოლშევიზმის ტერორისაგან დავიხსენით, ყველა ესენი დღეს კომუნისტების ბანაკშია თავმოყრილი და კომუნისტებს არ გააჩნიათ მათ მეტი მომხრეები. აი სწორეთ ამ გარემოებამ დიდი ხანია „თვალი აუხილა ჩვენს მუშებს და გლეხებს", რომლებიც ახლად მოსულ კომუნისტებზე უკეთ იცნობენ, რა ჯურის ხალხს ეყრდნობა ჩვენში კომუნიზმი.

* *
*

„სახალხო საქმე" ერთხელ კიდევ იწერს თავის პოლიტიკურ დავთარში მოგებას. ამ ხელათ ის ეხება სოციალ-ეკონომიურ საკითხს. იმ რეზოლიუციამ, რომელიც ჩვენმა ყრილობამ ამ კითხვაზე მიიღო, „სახალხო" ექსტაზში მოიყვანა და თავის მოწინავეში გამარჯვებულის პოზით მედიდურათ აცხადებს: „დღეს „ერთობა" სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რაც ჩვენ დეკლარაციაში იყო გამოთქმულიო" და თავს იმით ინუგეშებს, რომ უკეთესია გვიან, ვიდრე არასოდესო". „წელიწად ნახევრის გამოცხადების (!) შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ყრილობა მისულა იმ დასკვნამდე, რასაც ჩვენ ვამბობდითო" („სახ. საქ." № 858).

ასეთი ტრაბახი სახალხოელებისაგან არ ახალია. ისინი მუდამ ასე იქცევიან როგორც პრესაში, ისე დამფ. კრებაში, და საჯარო კრებებზე. არწმუნებენ ყველას და ყოველგან, რომ ცხოვრება ვითარდება და მიდის სწორეთ იმ გზით, რომელიც შენიშნა და აღნიშნა ფედერალისტების პარტიამ, მაგრამ სოციალ-დემოკრატები ჯიუტობენ, აკეთებენ მრავალ შეცდომებს და ბოლოს იძულებული ხდებიან მიიღონ ის, რასაც ჩვენ დიდი ხნით ადრე ვამბობდით, მარა არ გვიჯეროდენო. ასე იყო, მათი აზრით, ნაციონალურ კითხვაში, ასე იყო დამოუკიდებლობის საკითხში, ასეა ახლა სოციალურ - ეკონომიურ საკითხებში. ერთი სიტყვით, სოციალ-დემოკრატიას მთელი წლები სჭირდება, რომ შეიგნოს და ნამდვილი ალღო აუღოს ცხოვრებას და ეს მაშინ, როცა ყოველივე ეს ასე ადვილათ ეხერხება ბ.ბ. ფედერალისტებს. ამიტომაო—დაასკვნის „სახალხო"—„სოციალ-დემოკრატია აქაც მასსებს წინ კი არ უძღვის, არამედ უკან მისდევს მას".

მარა, ერთი ვკითხოთ ბ. ფედერალისტებს—თუ სოციალ-დემოკრატია არ უძღვის მასებს, რატომ ეს მასები არ გაჰყვენ ბ. ფედერალისტებს, მათ „სილ პოლიტიკას" და არ იცნეს მათი წინამძღოლობა?

ნუ თუ ის ძალთა განწყობილება, რომელიც ჩვენში ნათლად არ ამტკიცებს თუ ვინ უძღვის მასებს და ვის მიჰყვება ეს მასსა? ან იქნებ „სახალხოს" ჰგონია, რომ ეს მასები ისე ბრმაა, რომ ვერ არჩევენ ვინ რას ამბობს და რას აკეთებს? ჩვენმა ხალხმა კარგათ იცის ვის გაჰყვეს და ვინ იცნოს თავის წინამძღოლათ და

დღეს

საფრანგეთის პრესის ცნობით, ინგლისის ფლოტი კონსტანტინეპოლისაკენ. მიემგზავრება. პრესის აზრით, ეს ამტკიცებს ინგლისის გადაწყვეტილებას არ შეიცვალოს ხელშეკრულება ოსმალეთთან.

იმავე პრესის ცნობით, გერმანიის საკითხის შესახებ ბულონის კონფერენციაზე მილიერანის შეხედულებამ გაიმარჯვა. მილიერანმა განაცხადა, რომ სულ მოკლე ხანში გერმანიის ჯარის რიცხვი 100.000-მდე უნდა იქნეს დაყვანილით.

გენერალური შტაბის ცნობები.

24 ივნისი.

ივნისის 24 განმავლობაში ყველა მიმართულებებზე სიწყნარე იყო.

ამიტომ, ბ. ფედერალისტების ყოველივე ცდა ამ მხრით მიმართული ახლაც ისე უშედეგო იქნება, როგორც დღემდე. ეს იციან თვით ფედერალისტებმაც და ამიტომაა, რომ თავის პოლიტიკურ თავმოყვარეობას იკმაყოფილებენ იმით, რომ სხედან „სახალხოს“ რედაქციაში და სწერენ: სრულდება ის, რასაც ჩვენ დიდი ხანია ვამბობდითო.

დიდ არს წინასწარმეტყველობა თქვენი ბ. სახალხოელნო?!

* * *

„საქართველოს კომუნისტი“ ეხება „ჩვენებურ პარლამენტარიზმს“ და იმდენ ახირებულ, ერთი-მეორის საწინააღმდეგო აზრებს გამოსთქვამს, რომ ეტყობა ავტორი სრულიად არ იცნობს და მეტად ზერელე წარმოდგენა აქვს საკამათო საგანზე.

მას არ მოსწონს, რასაკვირველია, არც პარლამენტი, არც დამფუძნებელი კრება და როგორც მართლმორწმუნე კომუნისტი, პირველ რიგში აყენებს საბჭოთა მართვა-გამგეობის სისტემას და ყოველგვარ უპირატესობას მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვაში მას უთმობს. თუ როგორ იცავს საბჭოთა სისტემა მშრომელი ხალხის ინტერესებს და თუ რას წარმოადგენს რუსეთის დღევანდელი მართვა-გამგეობა, ამის შესახებ ჩვენ სულ მალე უფრო ვრცლათ მოველაპარაკებით ჩვენ მკითხველებს. ახლა კი დავკმაყოფილდებით იმის აღნიშვნით, რომ დღეს რუსეთის რეჟიმით არამც თუ ხალხი, თვით კომუნისტებიც უკმაყოფილოა და ამ მხრით საინტერესო ცვლილება ხდება ზოგიერთ მათგანის აზროვნებაში. ესაა დიდი დათმობა და ნაბიჯი დემოკრატიზმისაკენ.

„საქ. კომუნისტი“ ირწმუნება, რომ დამფ. კრება თავის მუშაობით „არა ლახავს გაბატონებული კლასების ინტერესო“ (№ 6). „კომუნისტს“ გონია რომ მას დაუჯერებენ ასეთ ზეპირ, დემაგოგიურ განცხადებას, ამიტომ ის თავს არ იწუხებს მოიყვანოს საბუთები ამის დასამტკიცებლათ. და სანამ ეს არ უქნია მას, რასაკვირველია, მისი ასეთი განცხადება დარჩება იმ დემაგოგიურ ფრაზათ, რომლითაც სავსეა მათი კომუნისტური არსენალი.

„კომუნისტი“ სიცრუესაც არ ერიდება. ის არწმუნებს თავის მკითხველებს, „დამფ. კრება უვადოა, მისი დეპუტატები მაშინ დაიშლებიან, როცა მოისურვებენო“. ჯერ ერთი რომ დამფ. კრება არც ისე დიდი ხანია რაც არსებობს. მეორეც ისა, რომ დამფ. კრებას აქვს თავის მისია. ესაა კონსტიტუციის შემუშავება და როგორც კი შეიმუშავებს, რა თქმა უნდა დაიშლება. ასე რომ მისი დაშლა დეპუტატების ქეიფზე და სურვილზე კი არ არის, არამედ იმ მისიის დასრულებაზე, რომელიც მას აკისრია. ნუ თუ არც ეს იცის „კომუნისტმა“?

ალბათ იცის, მარა ხომ გაგიგონიათ: ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია გულსა-სულსაო.

საბჭოთა რუსეთში

ცხენის ხორცი. „პრავდაში“, №82 მოთავსებულია შემდეგი ცნობა: ქიმიკოსების პროფესიონალურ კავშირის სასურსათო განყოფილებამ მიიღო 2 ვაგონი ცხენის ხორცი კავშირის წევრთათვის. ეს ცხენის ხორცი დარიგდება ორშაბათიდან. ეძლევა წინადადება ყველა საქარხნო კომიტეტებს განაცხადონ სურვილი ხორცის მუშებისათვის მიღების შესახებ.

სავალდებულო შრომის ბეგარა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, სავალდებულო შრომის ბეგრის მოხდის შესახებ. ახლო მომავალში ყველა მოქალაქეებს დაურიგდებათ უბის წიგნაკები, სადაც აღნიშნული იქნება ვინ რა სამუშაო შესრულა. სპეკულიანტებს წიგნში ჩაუწერენ: „ეს და ეს პირი სპეკულიაციას ეწევაო“. ეს არის მიზეზი, ამბობს გაზეთი, რომ მათ ასეთი აგიტაცია გააჩაღეს შრომის ბეგრის წინააღმდეგ. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ყოველივე ფუთი პური, მოტანილი სახელმწიფოსათვის, იქნება საძირკველი კომუნიზმის ნათელ შენობისა. ჩვენ შორის თუ მოიძებნებიან ზარმაცი მუშები ასეთები სასტიკად უნდა იქნენ დასჯილნიო. ერთხელ მატარებელში რკინის გზის სახელოსნოს მუშები ასე მსჯელობდნენ: „ჩვენ საზოგადო კრებაზე დავადგინეთ წმინდა ნიკოლოზის დღეს ვიმუშავებთო“. მაგრამ ნამდვილათ კი ხუთი კაცი მივიდა დეპოში, მიიხედ-მოიხედეს და უკანვე გაბრუნდენ“. („პრავდა„ 82)

ასე ტარდება ცხოვრებაში შრომის ბეგარა...

თვითნებობა. ურალსკის გარნიზონის წითელ არმიელებში იანვარში მღელვარება მოხდა იმის შესახებ, რომ სახადისაგან გარდაცვლილ წითელ არმიელებს მეტად უყურადღებოთ და ახირებულათ ასაფლავებდნენ. „კრასნი ბოეცის“ რედაქციაში შემოდიოდა განცხადებები, სადაც აღნიშნული იყო შემთხვევები, როდესაც დასაფლავებულთა გვამები მიწიდან მოსჩანდაო. „კრასნი ბოეცის“ რედაქციამ შეადგინა კომისია, რომელიც შეუდგა საქმის გამორკვევას. ამ გამოძიებას შედეგათ მოყვა ის, რომ დათხოვნილ იქნა სამსახურიდან და გადასცა სასამართლოს დასაფლავების გამგე პიკოვსკი („ჩრეზვიჩაიკის“ თანამშრომელი). ამის გამო ადგილობრივ რევკომის თავმჯდომარემ სტრუპემ დაუწყო შევიწროვება გაზეთ „კრასნი ბოეცს“. უბრალო რამ წერილი თუ არ მოეწონებოდათ „ჩრეზვიჩაიკაში“ უხმობდენ თანამშრომლებს. პირველ მარტის ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც ეხებოდა მესაფლავეებს, „გუბკოვს“ და პიკოვსკის. ამის შესახებ დაიბარეს „ჩრეზვიჩაიკაში“ რედაქტორი და ყველა თანამშრომლები გაზეთისა. „ჩრეზვიჩაიკაში“ თანამშრომელთა დაკითხვა გაგრძელდა 16 საათი; დაკითხვას, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვით დაინტერესებული პირი პიკოვსკი.

შეადგინეს საქმე. გასამართლებული უნდა ყოფილიყო ამხ. გიორგი ბჟირცევი, მაგრამ ურალსკის რევკომმა თვით გაასამართლა ის, გამორიცხა ამხანაგი 6 თვით პარტიიდან და გაგზავნა ყიზილ კუგაში „პარტიულ სამუშაოს ასასრულებლათ“ რა არის ეს?

(„პრავდა“ № 82).

ბონების კურსის აწევის გარშემო

მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ივ. ჰავჰანიძემ ვრცელი წერილობითი მოხსენება წარუდგინა ეკონომიურ საბჭოს და მთავრობის თავმჯდომარეს სასწრაფო ფინანსიურ ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენებაში ჩამოთვლილია ჩვენი ბონების კურსის დაცემის მიზეზები.

მომხსენებელის აზრით ჩვენი ბონების კურსის გასაუმჯობესებლათ საჭიროა დაუყონებლივ იქნეს მიღებული შემდეგი ზომები:

1) სასტიკათ აეკრძალოს ბანკებს საქონლით და უცხო ვალიუტით ვაჭრობა; დაევალოთ სასტიკი პასუხისმგებლობის ქვეშ აწარმოვონ ნორმალური საკრედიტო ოპერაციები ნორმალური პროცენტის აღებით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ბანკებს, რომლებიც ყოფილ რუსეთის ბანკების განყოფილებათ ითვლებიან, ვინაიდან არავინ უწყის არსებობს თუ არა მათი გამგეობები.

ბ) დაუყონებლივ და მოურიდებლათ გაიწმინდოს ერევნის მოედანი და სასტუმროები იმ მოხეტიალე სპეკულიანტებისაგან, რომელთაც არავითარი სავაჭრო ბინები არა აქვთ, არავითარ სავაჭრო და სხვა სახელმწიფო გადასახადებს არ იხდიან, ხოლო ათასგვარ კომბინაციებით საქონელს აძვირებენ და ჩვენი ბონების კურსს ცემენ.

გ) ერთხელ და სამუდამოთ უნდა შემოვიღოთ, რომ ყველა იმ საქონლის თუ ნედლი მასალის, რომლის რეალიზაცია მთავრობის ხელშია, აგრეთვე მარგანეცის ანგარიშებს უცხოელებს ვასწორებებდეთ ჩვენი ბონებით ან ჩვენი სახელმწიფო ბანკის ჩეკებით; უცხო ვალიუტით კი ერთი კაპიკიც არ უნდა იქნეს მიღებული.

დ) უცხო ვალიუტის მიღების და დახურდავების უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ სახელმწიფო ბანკს და მის განყოფილებებს.

ე) დაუყონებლივ უნდა აიკრძალოს ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში ყველა არაპირველ მოთხოვნილების საგნების შემოტანა.

ვ) მთავრობამ დაუყონებლივ უნდა შეუდგეს სამზადისს ჩვენი ქვეყნის იმპორტის თავის ხელში ასაღებათ (რა თქმა უნდა, ეგ არ გულისხმობს კერძო ინიციატივის უარყოფას); ამ საქმის უკეთ მოსაწყობათ გამოყენებული უნდა იქნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები: ერობები, ქალაქები და კოოპერატივები.

მომხსენებელი იმედოვნებს, რომ ამ ზომების გატარება ხელს შეუწყობს ჩვენი ბონების კურსის სწრაფად აწევას.

საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

18 ივნისი. დილის სხდომა.

განსახილველია აგრარული საკითხი. მოხსენებას აკეთებს მიწათ-მოქმედების მინისტრი ამხ. **ნ. ხომერიკი.** თავის მოხსენებას მომხსენებელი ორ ნაწილათ ჰყოფს: 1. აგრარული პოლიტიკა და 2. სასოფლო მეურნეობის განვითარება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არაა მართალი საკმაოთ გავრცელებული შეხედულება, თითქოს ჩვენი აგრარული პოლიტიკა, აგრარული რეფორმა ხელს არ უწყობდეს განვითარებას, პროგრესს სასოფლო მეურნეობაში. მას მოჰყავს აუარებელი ფაქტიური მასალა—ციფრები, რაც ნათლათ ამტკიცებს, თუ როგორ შევიწროვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა რევოლიუციამდე გლეხობა და როგორ გაუმჯობესდა უკანასკნელის მდგომარეობა რევოლიუციის შემდეგ, მას შემდეგ, რაც შემოღებული იქნა აგრარული რეფორმა.

ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ გლეხებს მიეცათ მცირე „ნადელები“, ბევრი გლეხი სრულიად უმიწაწყლოთ დარჩა. ამან გლეხობის მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება გამოიწვია; თუ ბატონ-ყმობის გაუქმებამდე გლეხი მემამულეს მიწეულ შემოსავლის $^1/_5$-დან $^1/_{10}$-მდე აძლევდა,—ამ ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ გლეხი $^1/_2$-დან $^1/_3$-მდე გადასახადს იხდიდა მემამულის სასარგებლოთ. რევოლიუცია მხსნელათ მოევლინა გლეხობას. მან მოუპოვა მიწა გლეხობას; მისი შრომის ნაყოფი მის საკუთრებას შეადგენს. რევოლიუციამ სრულიად გაანთავისუფლა დროებით ვალდებული გლეხები და ხიზნები. მათ ცხოვრების საშუალება მისცა. მართალია საქართველოში გლეხებს ბევრი მიწები არ შეხვდენიათ, მაგრამ ბევრის მიცემა შეუძლებელია, ვინაიდან თვით მიწის რაოდენობა მცირეა: ევროპის ყველა სახელმწიფოებში, ბელგიის გარდა, საქართველო ყველაზე უფრო მჭიდროთაა დასახლებული; აქ 100 დესეტინა მიწაზე 348 მცხოვრები მოდის, ბელგიაში—459.

შემდეგ მომხსენებელს მოყავს ციფრები იმის შესახებ თუ რამდენი მიწა გადაეცათ გლეხებს და რამდენი დარჩა მემამულეებს. საერთოდ მემამულეებს დარჩენიათ მიწის მთელი რაოდენობის 5—7 პროცენტამდე.

საერთო გამოანგარიშებით თვითეული გლეხის ოჯახი მიიღებს 1 დესეტინა მეტ მიწას.

აგრარულ რეფორმის პირველი ნაწილი—ჩამოსართმევ მიწების სახელმწიფო ფონდში გადარიცხვა დასრულებულათ შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება მეორე ნაწილს—ფონდიდან მიწების დარიგებას,—აქ სამინისტროს ბევრი დაბრკოლებები შეხვდა. სამინისტროს მიუღია ზომები მუშაობის დასაჩქარებლათ და მომხსენებელი იმედს გამოსთქვამს, რომ ამ წლის სეზონში თუ სავსებით არა,—რეფორმის მეორე მხრის დიდი ნაწილი მაინც შესრულებული იქნება.

გადასახლების პოლიტიკას სამინისტრო 1918 წლიდან აწარმოებს. უკვე დასახლებულია 20-ზე მეტი სოფელი. გადასახლებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ეკონომიური და პოლიტიკური. პოლიტიკური იმ მხრივ, რომ დასახლებული ადგილები რესპუბლიკის სწორედ განაპირა მხარეებში მდებარეობენ.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ადგილების დაქუცმაცებით აგრარულ კანონმა შეაფერხა მეურნეობის განვითარებაო. მაგრამ ეს არ არის მართალი: სხვილი მიწათ-მფლობელობა ყოველთვის მეურნეობის ინტენსივობა არ ნიშნავს, პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში იგი აფერხებს კიდეც მეურნეობის განვითარებას. წვრილი მეურნეობა, ჩვენს პირობებში, ხელს უწყობს მეურნეობის ინტენსიფიკაციას. ეს კი აუცილებელი მოთხოვნილებაა, რათა წინ წავიდეს ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარება. მიწების დარიგება გლეხებისათვის არ ნიშნავს დათმობას; ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მიზნები.

აგრარულ პროგრამაში სოც.-დემოკრატიას მიწები მუნიციპალიზაცია ეწერა. მართალია, ჩვენ ვერ გავატარეთ სავსებით მუნიციპალიზაცია; ეს არა თუ შეუძლებელი, — მიზან შეუწონელიც იყო. მუნიციპალიზაცია არევ-დარევას შეიტანდა ჩვენი ნაჭრობითი მიწათმფლობელობაში და მით უკმაყოფილებას გამოიწვევდა გლეხებში. არც სოც.-დემ. პროგრამას ეწინააღმდეგება ჩვენი აგრარული კანონი: 1906 წელს პროგრამაში შეტანილ იქნა შესწორება, რომლის თანახმათაც, თუ კი ამას ადგილობრივი პირობები მოითხოვდა, შესაძლებელია მამულების დანაწილება გლეხებისათვის. მაშასადამე, აგრარულ პროგრამის გადასინჯვა ჩვენ არ დაგვჭირვებია.

ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენში მუნიციპალიზაციაც არის გატარებული: ზოგი მამულები გადაეცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს; დიდი მამულები (ტყეები, საძოვარი ადგილები, კურორტები...) გადაეცა სახელმწიფოს, რაც ნიადაგის მომზადებაა მომავალ საზოგადოებისათვის.

მოხსენების მეორე ნაწილი შეეხება სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

ჩვენში მიწის მოსავალი ძალზე ცოტაა, რაც იმით აიხსნება, რომ რუსეთის ყოფილი მთავრობა მთელ რუსეთში და კერძოთ ჩვენშიაც ყოველმხრივ ხელს უშლიდა მამულების რაციონალურათ დამუშავებას. მომხსენებელი ციფრებით ამტკიცებს, რომ ჩვენში ერთ დესეტინაზე გაცილებით ნაკლები ნაწარმოები მოდის, ვიდრე ევროპის სახელმწიფოებში. ამის მიზეზათ არ შეიძლება მიწის სიმცირე ჩაითვალოს. მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენში არ არის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. თუ ჩვენში სასოფლო მეურნეობაში გამოყენებული იქნება ის ტეხნიკური საწარმო საშუალებები, რასაც, მაგ., ბელგიაში ხმარობენ,—სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მეურნეობის ნაყოფიერება დიდათ გაიზრდება, — იმდენათ, რომ ბევრათ გადააჭარბებს ჩვენს საკუთარ მოთხოვნილებებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კულტურულ მცენარეების მოშენებას. თამბაქო, მევენახეობა, ბამბის მეურნეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვა; უნდა განვითარდეს აგრეთვე ჩაის კულტურა, მეაბრეშუმეობა და სხვა, რასაც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები საკმაოთ უწყობენ ხელს.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თუ მთავარი ყურადღება, მთელი ნაციონალური ენერგია დასახელებულ ეკონომიურ პოლიტიკისაკენ იქნება მიმართული,—ჩვენ მეურნეობას დიდი მომავალი ექნება და ხალხის მოთხოვნილებები ზედმიწევნით იქნება დაკმაყოფილებული.

მოხსენების შემდეგ ამხ. **კ. ნინიძე** სთხოვს ყრილობას ნება დართოს მას გააკეთოს კონტრ-მოხსენება ამავე საკითხზე. მოხსენების მოსმენა გადაიდო შემდეგ სხდომისათვის.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ სხდომა იხურება.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 ივნისი.

ფრანგული ცნობები.

ინგლისის ვალიუტა.

ამა წლის 15 აპრილს ინგლისის ვალიუტამ 68 ფრანკს მიაღწია, დოლარში ფრანგები 17 ფრანკს აძლევდნენ. ამ ჟამად გირვანქა სტერლინგის კურსი დაახლოვებით 50 არის, დოლარი კი 13 ფრანკამდე დაეცა. (გამოტოვებულია).

ადვილი შესაძლებელია, რომ საფრანგეთს საზღვარ-გარეთ მხოლოდ სულ ცოტა ხორბლის შესყიდვა დასჭირდეს. ირწმუნებიან, რომ დიდძალი ვალიუტა, რომელიც ხორბლის შემოტანის მოლოდინში იყო შესყიდული, უკანასკნელ დროში უკანვე გაზიდესო. მეორე ფაქტორი, რომელიც კურსზე გავლენას ახდენს, ეს უცხოელ ტურისტების მოსვლა არის. იმ კაპიტალს, რომელიც მათ უკანასკნელ კვირეების განმავლობაში დასტოვეს, შეუძლია ჩვენ სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ნაწილის დაფარვა-შესყიდვა, რომელსაც ისინი აწარმოებენ, საგრძნობია.

გერმანიის საკითხი სპას კონფერენციაზე.

მარშალმა უილსონმა და ფოშმა დაარწმუნეს სპას კონფერენცია, მოიწონოს მოკავშირეთა ნოტის ტექსტი გერმანიის მიმართ, მისი განიარაღებისა, სამხედრო მასალის განადგურებისა და მოკლე ხანში მისი ჯარის პირადი შემადგენლობის შემცირების შესახებ, რომელიც ვერსალის ხელშეკრულების თანახმად არ არის ასრულებული ან და ბოლომდი მიყვანილი.

საბერძნეთის ჯარი ოსმალეთის ნაციონალისტების წინააღმდეგ.

საბერძნეთის ჯარს ნება დართეს გამოვიდნენ სმირნიდან, რათა წინ გადაილობოს ოსმალეთის ნაციონალისტების ჯარს.

ინგლისის ფლოტი კონსტანტინოპოლისაკენ.

ინგლისის ფლოტი უკვე გზაშია კონსტანტინოპოლისაკენ. პრესა ხედავს ამაში გადაწყვეტილებას, რომელიც ოსმალეთთან ხელშეკრულობის ხელ-ახლა გადასინჯვის აზრსაც კი არ უშვებს.

ჩერნოგორიის ევაკუაციის შესახებ.

ჰავასის სააგენტო იუწყება: იტალიის ჯარმა ჩერნოგორიის ევაკუაცია მოახდინა; ისინი სამხრეთ-სლავიის ჯარმა შესცვალაო. მხოლოდ საბერძნეთის ჯარს დაევალა ოსმალთა ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლა.

გერმანიის საკითხი ბულონის კონფერენციაზე.

პარიზის პრესის ცნობით ბულონის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებანი საერთოდ დამაკმაყოფილებელია. სამ მთავარ საკითხში: გერმანიის განიარაღებაში, სამხედრო ზარალის ანაზღაურებასა და საბჭოთა მთავრობის ცნობაში მილიერანის თვალსაზრისმა გაიმარჯვა. პრესის წარმომადგენლებს მილიერანმა განუცხადა, რომ კონფერენციამ ერთხმათ გადასწყვიტა მოსთხოვოს გერმანიას ჯარის შემადგენლობის სულ მოკლე ხანში 100.000 კაცამდე შემცირება.

ფულის კონვენცია.

სენატმა სამშაბათს ფულის კონვენცია დაამტკიცა, რომელიც დადებულია 25 მარტს საფრანგეთის, ბელგიის, საბერძნეთის იტალიის და შვეიცარიის შორის და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ 25 ივნისიდან ვერცხლის ფულს ექნეს გასავალი მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელსაც იგი ეკუთვნის.

კონტრიბუციას ვერ ინაწილებენ.

კონტრიბუციის განაწილების შესახებ შეთანხმება არ მოხდა, ვინაიდან იტალია 20 პროც. თხოულობს მაშინ, როდესაც საფრანგეთისათვის 55 პროც.

ესკიზები თანამედროვე ქართულ ლიტერატურიდან

1. ს. აბაშელი.

(დასასრული)

IV.

როგორია ს. აბაშელის სულისკვეთება, რას ეტრფის და ეთაყვანება მგოსანი, როგორია და რა სახის შინაარსი მისი მხატვრულ შემოქმედებისა?

ზევით ვთქვი: ს. აბაშელს ზოგი პეიზაჟისტს უწოდებს, ზოგი მზის მომღერალს, ზოგი კ. ბალმონტის მიმბაძველს და სხვ.

ჩემის აზრით, არც ერთი შეხედულება **არსებითად** მართალი არ არის.

ს. აბაშელი **სიცოცხლის** მომღერალი, მისი მოტრფიალე მგოსანია—სიცოცხლის, რომელიც ყოველგან და ყველაფერში სჩქეფს;—ამიტომ არის ს. აბაშელი მზის მის „სიცილის“ თაყვანისმცემელი, მლოცველ-მგალობელი.

მზე სიცოცხლის შემქმნელი, მისი დამამყარებელია ქვეყნად,—ამიტომ უყვარს ცის მნათობი მგოსანს, ამიტომ შესტრფის, შენატრის ის მას.

სიცოცხლე ს. აბაშელისათვის მუდმივი, განუწყვეტელი სიხარულია,—უნდა იყოს, ჰარმონიული ყოფნაა,—ამიტომ შეხარის და უგალობს მხატვარი „ცის განთიადს“—კოსმოსის, მთელი სამყაროის სიხარულის, მისი არსებობის სიმბოლოს, მის სულსა და გულს.

მზით სცოცხლობს ქვეყანაზე ყოველივე და ყველაფერი,—ის არის სინათლე, სილამაზე, მშვენიერება კოსმოსის, მისი ცენტრი და უსაზღვრო მოძრაობის, დენის ნიშანი.

მშვენიერია ცის მნათობი, დიადია მისი ყოფნა, ზე ალმამფრენი მისი სიცილი—სიხარული, შვების მომტანი,—„სხივოსანი ზღვაა“ იგი, ქვეყნის ოქროს ტალღებში განმბანელი...

„მზევ მშვენიერო, მნათობთ მეფევ, ცხოველმყოფელო
სიცოცხლის წყაროვ, საკურთხევლის ცეცხლო დიადო,
ლაჟვარდ სივრცეში ოქროს სიმთა ამთრთოლებელო,
სხივოსან ზღვაო, ქვეყნის დილავ, ცის განთიადო!

— —

შენსკენ ისწრაფვის, შენით სცოცხლობს ქვეყნად ყოველი,
მხეცი, ფრთოსანი, ნაზი ია პირმოღიმარი,
უსულო მტვერი, მობიბინე ზურმუხტ ტყე-ველი
ზღვის ცელქი ტალღა. დილის ცვარი ცრემლად დამდნარი“.

— —

ყოველივე მზით სცოცხლობს ქვეყანაზე;—მისი კისკისი, მისი განუწყვეტელი კვლავ მოვლინება ყველაფერისათვის სასიხარულო, სატრფიალო და სასიმღეროა: მით იწყება დღე და თავდება ღამე;—ღამის ცივი სინათლეც ხომ მისია.

„შორით გაისმა ზარის ხმა
ცას ჰიმნი მოსწყდა ღვთიური,
სხივი აკრთოლდა, ათრთოლდა
აჟღერდა ჩანგი ციური.
სიმთა კისკისმა რისხვის ხმა
ჩაახშო დემონიური
ჩრდილი გაქვავდა, აყვავდა
გულის თქმა ტიტანიური“.

მზე აძლევს ქვეყანას იმას, რითაც ის ხარობს და სრულყოფის ბედნიერებას განიცდის, სხივმნათი ცის დამამშვენებელი კოსმოსის მარადიულ ყოფნის გამომხატველია—ამიტომაა, რომ ყველაფერი მას შეჰხარის, შესტრფის და ესიყვარულება თავის სრულ ქმნილ მშვენიერებას... მზე „სტიქიონია, დაუძლეველი ქამითა“,—უკვდავების სიმბოლო, თვით არის განხორციელებული უკვდავება...

დაუსაბამოა მზის სიცოცხლე, ის დროსა და სივრცის უსაზღვროების მაჩვენებელია და ამიტომ კოსმოსის, სამყაროის ყოფნა სიცოცხლის განუწყვეტელი დენა, განვითარებაა.

„მზეს არ ახსოვს შობის წამი, მზეს სიკვდილი არა სჯერა,
მან სიცოცხლე უკვდავების სიმთა ჟღერით აამღერა!
დროს წაართვა ძლევის კვერთხი და დათრგუნა მით სიკვდილი!
ნეტავ იმას, ვისაც ესმის ალმამფრენი მზის სიცილი!..“

მგოსანი მთელი თავისი არსებით მზესთან არის, იწვის, იფერფლება მის ცეცხლის ტალღებში, მის სხივთა ზღვაში ბანაობს და, განიცდის რა სიდიადეს ბუნების დამათვრებულ მშვენიერებისას, ის უმღერის, შესციცინებს ცის დამამშვენებელს, სიხარულით ივსება მისი სული და „ციური ქნარის კვლავ ესმის ჟღერა“; მხატვარს ცისას უყვარს ცა, მისი „მოგუზგუზე მკერდი,“ „ცეცხლის ტალღების მშობი“, მის უშრეტ სხივთა ლივლივში „აწნავს სულის სათუთ სიმებს“ და „მის სადიდებლათ აქებს დილის სულით შევსული“, განწმენდილი,—მგოსანი ხომ ეზიარა მზის მშვენიერებას...

ს. აბაშელი გარდაქმნის პროცესს განიცდის: ის თვით გრძნობს დიად ძალას და უკვდავებას, ძალას გრძნეულს, ძალას ალმაფრენს, მომქმედს, გამამხნევებელს.

…„სხივს დავეწაფე, ალი შევსვი ცხოველმყოფელი,
და ვეზიარე ცის კოცონსა მგზნებარე გულით…
ტალღათ ლივლივში განვიცადე სულისა შვება,
ცეცხლის მორევში შევსრიალდი ხელებ—გაშლილი,
მარადისობის ვიგრძენ ძალა და უკვდავება“…

მრავალფეროვანია, დიადია კოსმოსი თავისი ცხოველ სილამაზით, დიდებულია მზე, მისი სიცოცხლე-სიხარულით.

მგოსანს იტაცებს, ატკბობს ზეალმაფრენი სანახაობა დროსა და სივრცის სრბოლისა და „უნდა სხვებსაც გააცნოს „სხივ გაშლილ განთიადის ოქროს სიმთა წკრიალი“.

მწუხარების დროს, ტანჯვით აღვსილი მხატვარი, სიხარულის სახილველად ცას, მზეს მიმართავს,—აქ ეძებს ის სულის სიმშვიდეს და აღფრთოვანებას.

მშვენიერად აქვს ს. აბაშელს დახატული მზის ყოვლად შემძლებლობა, მისი დიადი მშვენიერება, მისი სიცოცხლის კისკისი და უსაზღვროება თავის „მზე“-ში, რომელიც როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმით „ცეცხლის მახვილის“ მთლიან სურათს იძლევა მის ამოსვლიდან ჩასვენებამდე. როგორც დღეს თავისი დილა, შუადღე და საღამო აქვს, ისე ლექსს, მის გამომხატველს, დილის სიმკვირცხლე, შუადღის სითბო და „მწუხრის ჟამის“— საღამოს „ცივი სუნთქვა“ ახასიათებს- როგორც მზე „სივრცის გამოცანას სთხზავს“ და თავის უსაზღვრო, დაუსაბამო დენაში, მუდმივ, ყოველ დღე „დედა-მიწას ლოცვად“ აყენებს (დღე ხომ საუკუნეთა ტრიალის სიმბოლოა), ისე ს. აბაშელის ლექსი ყოველ წაკითხვის შემდეგ „ლოცვად დგება“ და „მსხვერპლს ამზადებს შესაწირად“…—კვლავ მზეს ელის, ხელახლა, თავიდან წაკითხვას თხოულობს... არ თავდება ლექსი, რადგან დრო და სივრცე, სამყარო, კოსმოსი და მისი „სული“—მზე იმ მოვლენას წარმოადგენენ, რომელსაც „არ ახსოვს შობის წამი და სიკვდილი არა სჯერა“.

ქვეყანა, კოსმოსი მზით მთლიან ჰარმონიულ სურათს წარმოადგენს, დიდებულ თხზულებას, რითმიულად მიმდინარეს; ის მშვენიერ ასონანსებისაგან შესდგება, თვით არის განხორციელება, ცხადყოფა დიად ასონანსისა...

5.

მაგრამ ამ დიდებულ ჰარმონიას და დამათვრებულ მშვენიერებას დედა-მიწა არღვევს, მას დისონანსი შეაქვს მთლიან სურათში.

„მიწის ბურთი“ თავისი „შავი აჩრდილით“ იჭრება კოსმოსის ცხოვრებათ, როგორც დამარღვეველი, დამშლელი მის მშვენიერ ყოფნისა.

„ცის წიაღში“, ლაჟვარდ ცაზე „ვარსკვლავთ შორის“ იხატება „შავი აჩრდილი სიკვდილისა“ და „შავ სხივთ აფრქვევს ცის კაბადონს ის ცეცხლგაწვდილი“. სიკვდილი და უბედურება მეფობენ დედამიწაზე იმ სიცოცხლე-სიხარულის მაგივრად, რომელიც ასე ახასიათებს ბუნების, კოსმოსის ცხოვრებას, ყოფნას.

მწუხარების და ტანჯვის „შავი აჩრდილი“ დაპატრონებია კაცობრიობის ცხოვრებას, მის ბედს.

მგოსანის გრძნობა-გონებას სევდა იპყრობს—მგოსანის სიხარულისა და სიცოცხლე-სიყვარულის საგალობლად შობილის...

„მზისგან შობილსა, ოქროს ტალღის ალში განბანილს,
მიწამ მაჩუქა ღამის ჩადრი, შავი აჩრდილი,
ალმამფრენ იმედს, განუსაზღვრელს, ცით წარმოგზავნილს,
მან მიაგება სევდის თასი შხამით აღვსილი.
ველარ ვპოულობ მიწის მკერდზე სრულსა ნათელსა,
აჩრდილი იგი მუდამ თან მდევს შავად გაშლილი,
მან მზით მონაბერ ალთ-ნაკადის კრიალა ქსელსა
შურისძიების შავ-უკუნის ჩასცა მახვილი“.

„სევდის თასი, შხამით აღვსილი მიაგება მგოსანს დედამიწამ, ცრემლით მორწყულმა, სადაც ადამიანს შური, მტრობა, ძალმომრეობა და სიძულვილი გაუმეფებია და უარუყვია ჭეშმარიტი სიხარული, სიყვარული და ჰარმონიული ყოფნა.

საშინელ მწუხარებას, კვნესას, ტანჯვას უსაზღვროს მოუკალათებია „მიწის ბურთზე“, შავ-ბნელი ღამის სუდარა გადაკვრია ყველაფერს: ადამიანს ადამიანი დაუჩაგრავს, „სულის წარმტაცი სიმბოლო უკვდავი სიყვარულისა გოლგოთის ჩრდილად ქცეულა, შავ სვეტად ამართულისა“.

კაცობრიობა დამჩაგვრელთა და დაჩაგრულთა ბანაკებათ გაყოფილა, რომელთა შორის საშინელი, სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაა ატეხილი.

ერთი მხრით „ცრემლ-სისხლ ნარევი“ ოხვრა-ტანჯვაა, დ უსრულებელი კვნესა, მეორე მხრით დემონიური ხარხარი და დაავადებული სიხარული, და მგოსნის სული ნაღველით ივსება, მისი გრძნობაგონება მწუხარებაშია.

„მწუხრის ნისლმა დამიჩრდილა გზა მზისაკენ გასაკაფი,
მთის შავ ქედზე შავ ღრუბლებში ჩაიხლართა სხივის ძაფი“-ო.

მიწისა და მისი შვილის ტანჯვით ამბობს მგოსანი. იმის მაგივრათ, რომ ადამიანი, თავისუფლების ტალღებში განბანილი, მზეს შეხაროდეს, უცინოდეს, სიცოცხლის მშვენიერებით სტკბებოდეს, თავის თავს ამ დიდებულ ყოფნის ნაწილათ გრძნობდეს, „მზის სიცილს“ უგალობდეს, ის ქვეყნად სიკვდილსა და ბოროტებას ამეფებს და ყოველივე კეთილს სპობს, ანადგურებს. „წყვდიადით დაჩრდილული“ ადამიანი მზეს ჰკარგავს... მზის სიცოცხლის მოტრფიალე მგოსანი კი შესტირის თავის მუზას:

„შენს ქურუმად არ მსურს ყოფნა მწარე ბედ-ქვეშ დანაბადსა,
ვით ვიმღერო, როცა ირგვლივ ვსჭვრეტ სისხლ-ნარევ ცრემლთ ნაკადსა“-ო.

„მწარე ბედ-ქვეშ“ არის დაბადებული ადამიანი დედამიწაზე, სადაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში სისხლისა და ცრემლის ღვრა, ძალმომრეობა და უსამართლობა დაკანონებულია. მაგრამ მგოსანს დიდი იმედი აქვს მაინც ადამიანისა, სწამს მისი გრძნობისა და გონების სიფაქიზე და ის კვლავ თავის საყვარელ „ცის წიაღს“ მიმართავს, უნდა მას დაუახლოვოს დედამიწა, მისი ტანჯვა-ვაება, მიწის ოხვრა ცის სიხარულს შეუერთოს და მიწის შვილი „გაალმერთოს“, გარდაქმნას.

„სევდის ცრემლი მინდა დავსწვა,
მინდა დავსწვა ცრემლის ნამი,
და მის ორთქლში მსურს გავლესო
წარსულ დროთა წყევის შხამი,
და ვით მეხი ვსტყორცნო ზეცას,
რომ სამყარო შევარყიო,
ციურ არსთა უცხო წალკოტს
მიწის ცრემლი დავაფრქვიო.

——

და თუ მიწის ოხვრა-კვნესა
ცის სიხარულს შევუერთე,
ცა და მიწა შევარიგე,
მიწის შვილი **გავალმერთე,**
მაშინ მოვქსოვ **ცეცხლის კიბეს**
ამომავალ მზის სხივებით,
შიგ ჩავაქსოვ ცისარტყელას,
მოვრთავ ცისკრის ფერად ქვებით.

——

და გავაბამ მიწით ცამდე
გაუქრობელ ცეცხლის ხიდათ,
ბნელ ცხოვრების მძიმე ტვირთის
ცის წიაღზე ასაზიდად…

მგოსანს, სამყაროის მთლიან მშვენიერებით გატაცებულს და „მიწის სევდით“ დატანჯულს უნდა **ცისა და მიწის შერიგება,** „ცეცხლის კიბით“ მზეზე მიწის ტანჯვის ატანა;—მას სურს დაავიწყოს მიწის შვილს მისი უბედურება, მწუხარება მზის მშვენიერი სიხარულით, გააქროს მისთვის მომტანი „შავი აჩრდილი“ სხივთა ზღვის ძლიერებით...

მაგრამ ეს ხომ მხატვარის გატაცებაა... ამას გრძნობს მგოსანი.

ადამიანი სიცოცხლის მშვენიერებით სავსებით, სრულად ვერ დასტკბება, სანამ მიწა ტანჯვას განიცდის, სანამ იქ „შავი აჩრდილი სიკვდილისა“ თავს კარგათა გრძნობს...

რა წამს მხატვარი, თავისი დიადი, წარმტაცი სურვილით გატაცებული „სხივთ ისარს მკერდს მიუშვერს ხელებ გაშლილი“, იმ წამსვე გვერდით გაუჩნდება „შავი აჩრდილი“ და ჩასჩურჩულებს: „შენთანა ვარ მეც განუყრელად“-ო. აქ მგოსანისათვის ნათელი ხდება, რომ ყოვლად შეუძლებელია „ცისა და მიწის“ შერიგება მანამდე, სანამ მის ზურგზე ატეხილი ბრძოლა, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო დამარცხება-გამარჯვებით არ გათავდება, სანამ მიწის სევდა, **თვით მიწაზე სიხა-**

და ინგლისისათვის 25 პროც. არის დაწესებული. ასე რომ სხვა ქვეყნებს არაფერი აღარ რჩება. იაპონიასაც სურს მიიღოს კონტრიბუცია ზარალის ასანაზღაურებლად, რომ გარდაცვლილ მეზღვაურთა ოჯახებს დახმარება დაურიგოს და სამხედრო გასავალი დაფაროს. პროექტი 3 ივნისისათვის უნდა იყოს მზათ. მოკავშირეების შეხვედრა გერმანელებთან სპაში 12 ივნისს მოხდება.

თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

ივნისის 24.

სევასტოპოლი. „ყირიმის მოამბე“ მიწათ-მოქმედების სამმართველოს სახელით აცხადებს, რომ ახლო მომავალში მთავარ სარდალის მიერ დამტკიცებული იქნება კანონ-პროექტი წვრილი საერობო ერთეულის შესახებ, რომელიც მთავარ სარდალთან არსებულმა საბჭომ შეიმუშავა. მიწის კანონის განხორციელება წვრილ თემებს დაევალება. ახალი მიწის კანონი ვრცელდება არა მარტო სასოფლო სამეურნეო მამულებზე, არამედ ტყეებზედაც. თანახმად კანონპროექტისა საჩქაროდ უნდა იქნეს მიღებული ზომები მემამულეთა მეურნეობის სალიკვიდაციოთ, რომელიც კერძო საკუთრებათ მშრომელ ხალხს გადაეცემა. ტყე გამოცხადდება სახელმწიფო საკუთრებად. კანონი გამონაკლისს უშვებს ბაღებს, საჩვენებელ ყანებს და კულტურულ მეურნეობას, რომლებიც ახლანდელ მეპატრონეთა საკუთრებაში დარჩება. კანონ-პროექტი განსაზღვრავს აგრეთვე, რომ ერობაში აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებით სარგებლობს ყველა ის პირი, რომლებსაც აქვთ ხმა სოფლის ყრილობებზე. ასეთივე უფლებით სარგებლობს სოფლის ინტელიგენცია, ესე იგი სახალხო მასწავლებლები, ექიმები და სხ. კანონ-პროექტის განსაკუთრებულ მუხლში აღნიშნულია, რომ ვრანგელის მიერ რომელიმე ადგილის დაკავების შემდეგ, დაუყონებლივ ახალი მიწის კანონი უნდა გატარდეს.

ბათომი. ყირიმის გაზეთებში დაბეჭდილია გენ. ვრანგელის ოფიციალური მიმართვა პროფესიონალურ კავშირებისადმი. გენ. ვრანგელი პროფ. კავშირებს სთხოვს მოაწყონ მეთვალყურეობა და კონტროლი ყველა ფაბრიკა ქარხანაზე და კოოპერატიულ დაწესებულებებზე, რათა რვა საათის სამუშაო დღე სასტიკად იქნეს გატარებული.

ფეოდოსია. ფეოდოსიაში ყოფნის დროს გენ. ვრანგელი ინახულა პოლონეთის დელეგაციამ, რომელმაც განაცხადა, რომ პოლონეთის და პეტლიურას შორის მომხდარი შეთანხმება ოპერეტიული ხასიათის არისო.

სევასტოპოლი. ერთ-ერთმა მოხალისეთა ნაღმოსანმა სევასტოპოლში ბუქსირით მოიყვანა ოდესის მახლობლად დაკავებული ბარკასი, რომელშიაც დაიჭირეს 20 კომუნისტი მგზავრი, დაჭერილებს 36 მილ. რომანოვების ხუთასიანები და სხვა ძვირფასი საქონელი უნახეს. დაკითხვის დროს დაჭერილებმა განაცხადეს, რომ მათ სურდათ რუმინეთში გასვლა.

ნიუორკი. შეერთებულ შტატების უმაღლესმა სასამართლომ უარყო მთავრობის მიერ ფოლადის ტრესტის ორგანიზაციის აღიარების შესახებ აღძრული საკითხი, რადგანაც მისი აზრით, ეს არღვევს რესპუბლიკის კანონებს და ამიტომ იგი გაშავებული უნდა იყვესო. გაზეთები აღნიშნავენ, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში არსებული ბრძოლა მთავრობის და ფოლადის ტრესტის შორის, რომელსაც ამერიკის ყველა წარმოების 60% ეკუთვნის, ტრესტის გამარჯვებით დასრულდაო. ამიტომ აუცილებელია მრეწველობის მინისტრის წასვლაო.

პარიზი. პალესტინის წმინდა ადგილები ხალხთა ლიგის კონტროლის ქვეშ იქნება.

საბჭოთა რუსეთში. თფილისში შემდეგი დანამდვილებითი ცნობები არის მიღებული: როსტოვში დახვრიტეს შავი ზღვის გუბერნიის განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარე უფის დირექტორიის ყოფილი წევრი ფილიპოვსკი—სამარინი. (ს. რ.) მოსკოვში დაიჭირეს ჩაიკინი და როსტოვში გაგზავნეს. დაჭერილია აგრეთვე განმათავისუფლებელ კომიტეტის დანარჩენი წევრები. ყველა დაჭერილს, როგორც იგივე წყაროებიდან იუწყებიან, დახვრეტა მიუსაჯეს.

კავკავი. ცნობილი საბჭოთა ეკონომისტი ლარინი (ლური) „ეკონომიურ ცხოვრებაში“ საბჭოთა რუსეთის ფინანსიურ დახასიათებას იძლევა. ლარინის გამოანგარიშებით რუსეთის შინაურ ფულის ბაზარზე 230 მილიარდი ქაღალდის ფულია გამოშვებული. ლარინი დარწმუნებულია, რომ სულ ცოტა მაინც ამ თანხის 3/4 გლეხების ხელში იმყოფება და ზანდუკებში აქვთ დამალული. გლეხებმა, ამბობს ლარინი, სრულიად უფასოდ მიიღეს მემამულეთა მიწები. მონარავ ტყით სახლები ააშენეს. ძველი ჯარის დემობილიზაციის დროს აუარებელი სახაზინო ქონება დაიტაცეს, სოფელი მდიდარია სახაზინო ცხენებით, ფეხსაცმელებით, ტანსაცმელით და აგრეთვე იარაღით, გლეხებმა საბჭ. მთავრობის დროს სრულ კმაყოფილებას მიაღწიეს. მიუხედავათ ამისა გლეხობა ყველა საერთო სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებას მაინც გულგრილათ უყურებენ. იგი არ გახსნის თავის სკივრებს არც წითელ არმიის საჭიროებისათვის. გლეხი რომ იხდიდეს იმდენ გადასახადს მაინც, რამდენსაც მეფის რეჟიმის დროს იხდიდა სახელმწიფო ექსპედიციის მანქანის დასვენების შეძლება ექნებოდათ. სამხედრო საჭიროებისათვის დაწესებულ გადასახადისაგან, რომლის რაოდენობა 10 მილიარდს უდრის, მიუხედავათ სოვდეპების მიერ მიღებულ ზომებისა, ჯერ-ჯერობით სულ 500 მილ. მან. მიღებული.

თფილისში მყოფ საბჭოთა მისიის ცნობები. ივნ. 24. კამენეც-პოდოლსკი ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს. სევასტოპოლის მიმართულებით დავამარცხეთ ყირიმის დივიზია. ყირიმის ველზე ვრანგელის ცხენოსნები მოქმედებენ.

თფილისში მყოფ საბერძნეთის მისია იტყობინება: საბერძნეთის მთავრობამ განუცხადა ბულგარეთის მთავრობას, რომ იგი ნებას არ დართავს 150,000 ბულგარელ სამხედრო ტყვეს საბერძნეთის ტერიტორიაზე შესვლისას მანამ, სანამ საბერძნეთს არ დაუბრუნებენ 340 ქალიშვილს და 30 მცირეწლოვან ვაჟს, რომელნიც აღმოსავლეთ მაკედონიიდან წაიყვანეს. სოფიის მთავრობამ განაცხადა, რომ ვისაც ბერძენი ბავშვი ჰყავდა წამოყვანილი უკან დაებრუნებია, ათინიდან მოსული ცნობით ბულგარეთის მთავრობამ შესძლო წამოყვანილ ბავშთა სამშობლოში დაბრუნება, რის გამოც ბულგარელ ტყვეების გაგზავნა დაიწყო.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე, შესდგება ახლად არჩეული საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა. წევრებს სთხოვენ უთუოდ დაესწრონ.

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია სხდომა ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციისა.

◆ **შეცდომის გასწორება:** გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ახალ საკანტროლო კომისიის წევრთა სიაში შეცდომით გამოგვრჩა—5) **ვ. ცაბაძე.**

◆ **რკინის გზელთა კონფერენცია.** რკ. გზელთა პროფ. კავშ. ცენტრ. მართველობა 1 ივლ. იწვევს რაიონულ კავშირების გამგეობათა წარმომადგენლების ყრილობას. წარმომადგენლობითი ნორმა ამგვარია: დეპო და მთავარი სახელოსნოები გზავნიან ხუთ-ხუთ დელეგატს, ბორჯომის—2, დანარჩენები სამ-სამს დელეგატებს ირჩევს რკ. გზ. მართველობის სექცია. განსახილველია საკითხები: მდგომარეობა ადგილობრივ, მოხსენება ცენტრ. გამგეობისა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა და სხ.

◆ **ფასის დაცემა კარაქზე.** სასურსათო განყოფილება აღნიშნავს მწვანილზე და კარაქზე ფასის დაცემას. გირვანქა კარაქის ფასი სასურსათო განყოფილების მაღაზიებში 170 მან. დავიდა.

◆ **საქონლის ფასები.** სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობებით ბაზარზე შემდეგი ფასებია: შაქარი-რაფინადი—3.600 მან., ფხვნილი შაქარი—3,200 მ., სიმინდი—1,100 ფუთი მ., ლობიო—700 მან., რუსული ფქვილი—2,500 მან., ადგილობრივი—1200 მან., სიმინდის ფქვილი—1200 მან., კარტოფილი 440 მან., კომბოსტო—200 მ., ყველი 75—80 მან. გირვანქა.

◆ **სასოფ. სამ. უფასო კურსები.** აგრონომიული დახმარების სექცია აცხადებს: 1 ივლისს მიწად-მოქმედების სამინისტრო ხსნის მესაქონლეობისა და მერძევეობის უფასო კურსებს. კურსებზე მეცადინეობა დასრულდება ა. წ. სექტემბერს. ჩამოსულთ უფასოდ მიეცემათ ბინა.

◆ **ბოროტმოქმედება იაფი პურით.** შრომის სამინისტრო იუწყება: მიღებულ ცნობებით ქალაქის თვითმართველობის შრომის განყოფილების მოსამსახურეთა რწმუნებული, რომელსაც ფურნედან პური მოაქვს ქურდობაში შენიშნეს. გამოირკვა, რომ იგი სარგებლობდა პურის ზედმეტი რაციონით. ამის გამო მუშათა მაგიდამ შეამცირა შრომის განყოფილებისათვის გადასაცემი პური 3 ნახ. ფუთამდე.

◆ **პურის დამზადება თფილისისათვის.** მომარაგების სამინისტრომ თფილისის ქალაქის თვითმართველობას მიანიჭა განსაკუთრებული უფლება ბორჩალოს მაზრაში თფილისისათვის ხორბლის დასამზადებლათ.

◆ **ფოთის ელევატორი.** თანახმად მთავრობის 17 ივნისის მიღებულ დადგენილებისა ფოთის ქალაქის თვითმართველობას ეძლევა 8 მილ. მან. ფოთის ელევატორის გამოსასყიდათ და შესაკეთებლად.

◆ **საზავო ხელშეკრულება ადერბეიჯანთან.** 17 ივნისის სხდომაზე მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს და ადერბეიჯანის შორის დადებული ხელშეკრულება. დამტკიცებულია აგრეთვე დამატებითი შეთანხმება. საზავო ხელშეკრულება სარატიფიკაციოდ დამფ. კრებას გადაეცემა.

◆ **დახმარება ერობებს.** თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ 12 ივნისის სხდომაზე დაადგინა საჩქაროთ მისცეს 100 მილ. ფონდიდან თითო მილიონი სესხი თიანეთის, რაჭის, გუმისტანის და კოდორის ერობებს.

◆ **სატრანზიტო ბარგი.** 17 ივნისის სხდომაზე მთავრობამ ნება დართო გაატაროს საქართველოს ტერიტორიაზე ის სატრანზიტო საქონელი, რომელიც წინეთ ადერბეიჯანის მისამართით იყო გაგზავნილი, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე იყო დაკავებული.

◆ **აფხაზეთში.** შრომის სამინისტრო იღებს ზომებს აფხაზეთში სახელმწიფო მამულებში მომუშავეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ფიქრობენ, მუშებს მიაწოდონ იაფი პური და შაქარი.

◆ **თფილისის კოოპერატივი.** თფილისის კოოპერატივის წევრთა საერთო კრებაზე დამტკიცდა ხარჯთ-აღრიცხვა და დაზღვევის ფონდის ახალი კრედიტი. ამავე კრებაზე გადასწყდა ახალი პაის რაოდენობა—200 მან.

◆ **წელს თფილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიაში** სწავლა დაამთავრეს და მიიღეს სიმწიფის ატესტატები: მე-8 ძირითადი კლასი: გაბრიელ გეხტმანმა (ოქროს მედლით), კონსტანტინე გუჯეშიანმა, გიორგი დავითაშვილმა, ვლადიმერ დავითაშვილმა, დიმიტრი კალატოზიშვილმა, ბიძინა კანდელაკმა, (ოქროს მედლით), ლეონიდე კანდელაკმა, გიორგი მძინარიშვილმა, ბიქტორ სტიშკოვმა (ვერცხლის მედლით), ვარლამ სულაძემ (ოქროს მედლით), ზაქარია ტატიშვილმა, შალვა ღლონტმა, სოკრატ ჩარკვიანმა (ოქროს მედლით), შალვა ცინცაძემ (ვერცხლის მედლით), იოსებ ცკიმანაურმა, პანკრატ ჭანტურიამ, არჩილ ჯანდიერმა (ვერც. მედ.) დიმ. ჯანდიერმა. მე-8პარალელური კლასი: გიორგი ამბარდანიშვილმა (ვერცხლ. მედლით), არტავაზდ ბანუნმა (ვერცხლის მედალით), ალექსანდრე გოკიელოვმა, ვსევოლოდ დრაგომირეცკიმ, ვახტანგ კვზელმა, ალექსანდრე კირაკოსიანმა (ვერცხლის მედლით), ბიქტორ მარკოზიშვილმა (ოქროს მედლით), ირაკლი მაღალაშვილმა, ნიკოლოზ მელიქ-აკოპიანცმა (ვერცხლის მედლით), არჩილ ნადირაშვილმა, ივანე რუდოვსკიმ, პავლე საჩკოვმა (ვერცხლის მედლით), გაიკ სუმბათიანცმა, ნიკოლოზ ტერ-ასატუროვმა, გეორგ ტერ-ნიკოგოსოვმა, ერაზმ ფონ-შლეიერმა, ვლადიმერ ჯაფარიძემ (ვერცხლის მედლით.)

◆ **ახალციხიდან დაბრუნდა მთავრობის რწმუნებული** პლატონ მიქაბერიძე, რომელმაც სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის და მეჯლისის თავმჯდომარეს მამედ-ბეგ აბაშიძეს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „დღეს მუსლიმანთა დიადი დღესასწაულის რამაზან-ბაირამის გამო დავესწარ ლოცვაზე ციხის ჯამეებში, ვიყავი მახლობელ სოფელშიაც და ყველგან მიულოცე დღესასწაული. აღფრთოვანებული ასეთი არა ჩვეულებრივის ყურადღებით აჭარის მუსლიმანობა სრულს კმაყოფილებას გამოსთქვამს საქართველოს მთავრობისადმი, რომელსაც უკვე გაეგზავნა დეპეშა, სადაც გამოთქმულია მათი გულისთქმა და ელიან მოუთმენლათ ბათომის საკითხის მალე გადაწყვეტას გადაცემას ამ ქალაქისა მის კანონიერ პატრონის საქართველოსათვის. ხალხმა დამავალა მოგილოცოთ თქვენ დღესასწაული და გთხოვთ მალე დააგვირგვინოთ თქვენ მიერ დაწყებული დიადი საქმე საქართველოს გაერთიანებისა, სიამოვნებით ვასრულებ ხალხის სურვილს, გილოცავთ მათისა და ჩემის სახელითაც დიად დღესასწაულს და გასურვებთ გამარჯვებას.

◆ **სასოფლო სამეურნეო განათლება.** მთავრობამ მოიწონა მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება პირველ დაწყებით და საშუალო სასოფლო სამეურნეო სკოლების გახსნის შესახებ. მიწათ მოქმედების მინისტრს მიენდო შეიტანოს დამფ. კრებაში დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო განათლების მოწყობის შესახებ.

◆ **ინსტრუქცია საბაჟოებს.** თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ გადასწყვიტა გაუგზავნოს ინსტრუქცია ზაქათალის ოლქის საზღვარზე არსებულ საბაჟოს იმ საქონლის შესახებ, რომელთა შემოტანაც კანონით აღკრძალულია.

◆ **აქციზი თამბაქოზე.** კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს თამბაქოს ნაწარმოებზე აქციზის დაწესების შესახებ ახალი კანონ-პროექტის შემუშავება, თავის მუშაობა დაასრულა. აწ არსებულ ბანდეროლის სისტემის მაგიერ განზრახულია ყოველ ფოთლოვან თამბაქოს ფუთზე, რომელიც შედის ფაბრიკაში გადასაკეთებლად აქციზის დაწესება. საშუალო აქციზი შემუშავებულია იმ ვარაუდით, რომ მესამე ხარისხის თამბაქო 35 პროც. გაკეთდება მეორე 40 პროც. და უმაღლესი ხარისხის 25 პროც. ამ რიგად პირველ შემთხვევაში აქციზი შეადგენს თვითღირებულებიდან 30 პროც., მეორე შემთხვევაში 40 პროც., მესამეში 50 პროც. ასეთ პირობებში საშუალოთ აქციზი ფუთზე დაახლოვებით 5,500 მ. უდრის, თუ კი მესამე ხარისხის 1000 პაპიროზი არ გაიყიდა 600 მ. უფრო ძვირად, მეორე 840, მ. მესამე 1100 მ. საერთოდ მოსალოდნელია, რომ თფილისის ქარხნებში წელიწადში 40,000 ფუთი თამბაქო დამუშავდეს, ასე რომ მთელი წლის განმავლობაში აქციზს შეუძლია 200 მილ. მან. მიცემა. (სდ).

◆ **პროფესიონალური კოოპერატივები.** პროფეს. ორგანიზაციები ფიქრობენ მოაწყონ ლიტერატორთა, მასწავლებელთა, მხატვართა და სხ. პროფესიონალური კოოპერატივები. ამის გამო მოკლე დროში მოიწვევენ საგანგებო თათბირს მოსკოვის სახალხო ბანკის, კოოპერატივთა კავშირის და საქართველოს კოოპერატივთა ცენტრ. კავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

◆ **გემების სანაპირო მიმოსვლა.** მთავრობის სხდომაზე, რომელიც 12 ივნისს შედგა, ირჩეოდა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენება საქართველოს სავაჭრო ბანკის მიერ აღძრულ საკითხის შესახებ: დართონ ბანკის გემებს სანაპირო მიმოსვლის უფლება საქართველოს ნავთსადგურებს შორის. გზათა მიმოსვლის დეპარტამენტს საქართველოს სავაჭრო ბანკის წარმომადგენელთან ერთად მიენდო სანაპირო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულების შედგენა იმ პირობით, რომ ამ ხელშეკრულებაში საქართველოს ინტერესები იქნეს დაცული. ხელშეკრულების პროექტი მთავრობას უნდა წარუდგეს დასამტკიცებლად.

◆ **ნაპოვნია ქართულ კლუბში** საფულე, რომელშიაც არის 1001 მ. 50 კ. ფული და სხვადასხვა დოკუმენტები ალექსანდრე სეითის ძე გამრეკელის სახელზე. პატრონს შეუძლია მოიკითხოს ქართულ კლუბში გიორგი ლევანის ძე პაპუნაშვილთან.

◆ **დამფუძნ. კრების წევრი მოქ. გერონტი ქიქოძე** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „თქვენი გაზეთის № 139 მოთავსებულია ცნობა იმ მოგზაურობის შესახებ, რომელიც ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად მომიხდა დარიალის ხეობაში. ნება მიბოძეთ განვაცხადო, რომ ეს ცნობა რედაქციისთვის ჩემდა დაუკითხავათ გადმოუციათ და საზოგადოთ ამ მოგზაურობის შესახებ არავისთვის არავითარი საგაზეთო ცნობები არ მიმიცია. ამასთანავე საჭიროთ ვსთვლი აღვნიშნო, რომ ფრონტის დამხმარე კომიტეტის საქმის მწარმოებლათ ვარ არა მე, როგორც ზოგიერთს შეცდომით ჰგონია, არამედ გერასიმე ლავრენტის ძე ქიქოძე.

◆ **ჯარისკაცთა ოჯახების საგაზაფხულო მუშაობა.** (გენერალური შტაბის ცნობა) თავის დროზე, თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, წინადადება მიეცა ყველა სამაზრო ერობებს მიიღონ სათანადო ზომები ჯარში გაწვეულთა მიწების დასამუშავებლათ. ეს ბრძანება თითქმის ყველგან მოყავთ სისრულეში იმდენათ, რამდენათაც ეს შესაძლებელია ადგილობრივი პირობების მიხედვით. თავდაცვის საბჭომ, რომ უფრო ნაყოფიერი შეიქნეს ადგილობრივი თვითმმართველობათა მიერ ზემო-აღნიშნულ ოჯახებზე აღმოჩენილი დახმარება, 23 ივნისის სხდომაზე ნება დართო მთავარ-სარდალს, რათა სამხედრო ერთეულებში მყოფ ჯარისკაცთა 10% მისცეს საგაზაფხულო სამუშაოდ შვებულება. ამ სახით ჯარისკაცებს საშუალება მიეცემა ერთი მხრით უფრო ნაყოფიერათ მოიხმარონ ადგილობრივი თვითმართველობათა დახმარება და მეორე მხრით თავისი საკუთარი შრომით მოაწესრიგონ ოჯახის მდგომარეობა.

◆ **ექსკურსია კახეთში.** სახელმწიფო უნივ. ბუნების მეტყველ აგრონომ სტუდ. სამეცნიერო საექსკურსიო წრე აწყობს ექსკურსიას კახეთში, ბოტანიკის კათედრის ასისტენტ ზ. ყანჩაველის ხელმძღვანელობით. გასვლის დღეთ დანიშნულია ივნისის 26, შაბათი. მარშრუტი: თელავი, გომბორი, თელავიწნორის წყალი, თფილისი. დაწვრილებით ცნობების გაგება და ჩაწერა შეიძლება გამგეობის წევრთან, უნივერსიტეტში პარასკევს, 5—8 საათამდე.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ზაქარია ჭიჭინაძის შემდეგი ახალი წიგნები: 1) აღა-მაჰმადხანის მეორე შემოსევა საქართველოში 1797 წ. და მისი წამქეზებელი რუსეთის გენერლები, 2) პეტრე დიდმა როგორ მოატყუა ვახტანგ მეექვსე და 3000 ოჯახი ქართველთა; 3) გერმანელი დოქტორი იაკობ რეინეგსი, მეფე ერეკლეს კარზედ რუსთაგან კომისრათ და მინისტრათ დანიშნული საქართველოში; 4) პავლე იმპერატორმა როგორ ჩამოართვა გიორგი მეფეს საქართველო; 5) მისტერ ოლივერ უორდროპი და ინგლისის კავშირი საქართველოსთან; 6) საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან; 7) ასპინძის ომში იმერეთის დალატის სიყალბე და რუსის გენერლის ტოტლებენის ღალატის სინამდვილე; 8) მარიამ დედოფალმა რა მიზნით მოკლა რუსი გენერალი ლაზარევი და კრწანისის ომის ამბავი 1795 წ.

კ რ ე ბ ე ბ ი. შაბათს, 26 ივნისს, დილის 9 საათზე ვაჟთა პირველ გიმნაზიაში სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭო იწვევს თფილისში მყოფ ყველა მასწავლებელთა (განურჩევლად სკოლ. ტიპისა და საფეხურისა) საერთო კრებას. კრების საგანი: 1) მასწავლებელთათვის სურსათის შეძენა და 2) მასწავლებელთა კოოპერატივის წესდების განხილვა.

— დღეს, საღ. სრულ 8 საათზე, დანიშნულია ერის გამოთხ. ს-ბის გამგეობის სასწრაფო სხდომა. ყველას დასწრება სავალდებულოა.

ქ. თფილისის პროფ. კავშირთა საბჭოს განცხადება

ჩვენ გავიგეთ გაზეთებიდან, რომ კაკნაძე მიესალმა საბ. რუსეთის მისიის წარმომადგენელს ბ. კიროვს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს კომუნისტურ ფრაქციის სახელით.

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ეს განცხადება გამოგონილია და სიმართლეს არ შეესაბამება.

საბჭოში, ისევე როგორც კავშირებში, არავითარი დაყოფა კომუნისტურ და არაკომუნისტურ ფრაქციებათ არ არსებობდა და არც არსებობს.

სეკრეტარიატი იღებდა, იღებს და მომავალშიაც მიიღებს ზომებს, რომ არ ექნეს ადგილი ეკონომიურ ორგანიზაციის პოლიტიკურ მიმდინარეობებათ დაყოფას.

თავმჯდომარე **ალ. ხელაძე.**

კიდევ პურზედ

ამ რამოდენიმე დღის წინათ პატარა შენიშვნა იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში მუშა-მოსამსახურეთა იაფ-ფასიანი პურის უვარგისობის შესახებ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ყურადღებას მიაქცევდა მუშათა მაგიდა ამ შენიშვნას, ე. ი. იაფ-ფასიან პურის ღირსებას გააუმჯობესებდა. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. პური, რომელიც ეძლევა მუშებს, მდარე ღირსებისაა, არ არის კარგად გამომცხვარი, შიგ ბევრი ჩალა-ნაფოტი მოიძებნება. რასაკვირველია ჩვენი პური გაცილებით უკეთესი ღირსებისაა, ვიდრე ის, რომელიც რუსეთში ეძლევათ მუშებს. მაგრამ თუ საჭირო ზომებს მიიღებენ, იმ ფქვილიდან, რომელიც ეძლევათ მეფურნეებს გამოსაცხობად, კარგი ღირსების პურის გამოცხობა შეიძლება.

მუშები, რომლებიც ამ გაჭირვების დროს იღებენ რაღაც კაპიკებს დღიურათ, მხოლოდ იმიტომ სჯერდებოდენ ამ ყოვლად შეუფერებელ ჯამაგირებს, რომ მათ პურის იმედი ჰქონდათ და პური რაკი იაფ ფასებში იღებდნენ დანარჩენში, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც გამოდიოდნენ და უმკლავდებოდნენ ამ დუხჭირ ცხოვრებას. მაგრამ წარმოიდგინეთ ახლა ამ მუშების მდგომარეობა, რომელნიც დღიურათ 130—140 მანეთს იღებენ, რა უნდა ჭამონ და როგორ უნდა ირჩინონ თავი, როდესაც ისინი ამ პურით სარგებლობას მოკლებულნი არიან; თუმცა ისინი იღებენ ამ პურს, მაგრამ როგორც ზევით ვსთქვი, იმისი ჭამა ყოვლად შეუძლებელია და მუშა იძულებულია ბაზრიდან იყიდოს პური და მისცეს გირვანქა პურში 35 მან.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ მუშათა მაგიდამ უნდა მიაქციოს ყურადღება და რაც შეიძლება ჩქარა მოაგვაროს პურის საქმე.

საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს თვით ფურნეებს, რადგან როგორც ეტყობა ფქვილს ცუდი ღირსების გარდა ფურნეები ძალიან უსუფთაოდ ცხვება, რაც უფრო აუარესებს ისედაც ცუდი ღირსების ფქვილს.

პლ. ნათალიშვილი.

კომუნისტების წერილები

ამ დღეებში თფილისში მიღებულ იქნა ადერბეიჯანელ კომუნისტების წერილები მშობლისადმი. დოკუმენტები ვეიხვენებენ, თუ როგორ ზრუნავენ ბოლშევიკები მუშების და ღატაკების ინტერესებზე. აი ამონაწერი ერთ-ერთ დოკუმენტიდან: „ძვირფასო არისტიდ! ჩემზე ნუ სწუხართ. მე კარგათ ვცხოვრობ. ერთი მაწუხებს, არ შემიძლია ფულის გამოგზავნა, ვინაიდან აქ ქართულ ფული არ არის, და თუ არის დიდ პროცენტს თხოულობენ. ჩემი მეგობარი მაინც ეცდება რამოდენიმე ათასის გადმოგცეს. ამ ფულ დაუბრუნებ მას ბაქოში დაბრუნების დროს, ვინაიდან აქ ბევრი ფული მაქვს, თუმცა იგი ადერბეიჯანის და საბჭოთა რუსეთის ფულია.

ასე, ძვირფასო არისტიდ, ფულს მიღებისათანავე პირველ ყოვლისა სახლისათვის ფქვილი, მოაწყამა და სხვა სურსათი იყიდე. ამას იმიტომ გწერ, რომ აქ ბაქოში საბჭოთა მთავრობის გამოცხადების შემდეგ ფასებმა ძლიერ აიწიეს. ერთ დროს სულ არ შეიძლებოდა ქალაქში პურის შოვნა, გირვანქაში გაძლევდენ 100—150 მანეთს, მონპასიე სრულიად გაქრა, გირვანქა ქიშმიში კი 300—250 მანეთათ ყიდდენ. ამიტომ გეხვეწები, ნუ მოერიდები ფულს და იყიდე, ვინაიდან დღეს თუ არა ხვალ მაინც გვექნება ამაში დარწმუნებული ვარ და გაცილებით ამას დროში, რომ გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავარდე და არ მოგიწიოს შიმშილი, როგორც ჩვენ, ისე შენი მშობლები. კიდევ ერთხელ გთხოვ ყველაფერი წინასწარ დაამზადე. აი რა,

---

რულად არ იქცევა,—მან იცის, რომ კაცობრიობის ერთი ნაწილისათვის ბრძოლა იგი—ცხოვრებაში სიმახინჯისა და ბოროტების გამეფების წყურვილ-სურვილია, მეორესათვის კი თავისუფლებისა, სიხარულისა, სიყვარულის — მშვენიერების.

მტრის გამარჯვება და პირველის დამარცხება **სიცოცხლის გამარჯვება** იქნება, მზის გამარჯვება, სიკვდილის დათრგუნვა, ქვეყნათ უბედურების მოსპობა. და როდესაც მგოსანს, „მზის წიაღში“ მონავარდეს, იდუმალი ხმა ცისა—მხატვარის ალტაცებული გრძნობა-გონების ხმა—გადმოსძახებს:

„აქ რას ეძებ, ცის წიაღში, ვარსკვლავთ შორის მიწის შვილი,
რად დასტოვე დედა-მიწა, ბრძოლის ველად გადაშლილი?!
რად გაექეც მიწის კვნესას, მიწის ნაღველს დაგუბებულს?
ტანჯვის ცრემლის ოკეანეს და სისხლის ზღვას აზვირთებულს“.

—

თუ გაშფოთებს მიწის აწმყო, მომავალიც აღარ გჯერა
და გსურს გამცნონ ვარსკვლავებმა არსებობის ბედის-წერა?!.
ცა მუნჯია და უგრძნობი, არას გეტყვის, ნურას კითხავ...
მიწის სევდას გაეცანი—ვარსკვლავებსაც წაიკითხავ“!...,

როდესაც იგი ხმა მხატვარის არსებას იპყრობს, როგორც ნაწილი მისი სულიერ ცხოვრებისა და „მიწის სევდა“, მისი ტანჯვა მგოსანის სულსა და გულს წვდება, მის წრფელ განცდათ ხდება, მაშინ ის უყივის კაცობრიობის დევგმირთ მომავალის შვილებს, თავისუფლებისათვის მებრძოლთ, მომავალ ბედნიერ ქვეყნის მოსაპოვებლათ,—მზის სახილველად შემოკრბენ.

„მიწის სევდის“ მოსპობა მზის ხილვაა, სიცოცხლე-სიხარულის სრული განხორციელება, წარმტაცი სილამაზის შვება—„ცის და მიწის შეერთება“ ადამიანის დასატკბობად, საბედნიეროთ.

— განა რა არის სიცოცხლე-სიხარული თუ არა ადამიანის ბედნიერება?!. ვინ უნდა განიცადოს და გაიგოს კოსმოსის მშვენიერება, მისი უსაზღვროება მისი მთლიანობა, თუ არ ადამიანმა?!.

ვინ უნდა გაიხაროს „მზის სიცილით“ თუ არ მან, ვისაც სისხლისა და ცრემლის ზღვაში განბანილს მზის სხივებში უსრულებელი სიხარული და სიყვარული მოელის?!.

მგოსანი მებრძოლთ კერას—მაშვრალთ უმღერის მედგარი ხმით,—აქ ეძებს ის იმ დევ-გმირებს, რომელთაც უნდა განახორციელონ დიდებული საკაცობრიო მომავალი: სრულყოფა ადამიანთა ჰარმონიულ არსებობისა, ნამდვილი თავისუფლების ქვეყანა.

ხელოვანი ხელთ იღებს „ბასრ ხმალს“ „ტვირთ-მძიმეთათვის“ გვერდში ამოსადგომათ (აქ იხატება ს. აბაშელის შეხედულება მგოსანზე საზოგადოთ) და შესთხოვს თავის მუზას:

„ძალა მომეც, რომ ტკბილ ჰანგათ ჩავექსოვო ჩემს სიმღერას,
შვების ცრემლად დავეფრქვიო მიძინებულ მაშვრალთ კერას;
რომ ჩემს ხმაში გაისმოდეს წარსულ დროთა ბედის წყევა,
აწმყოს კვნესა და მომავლის საოცნებო სიმთა რხევა“...

მაშვრალნი განახორციელებენ დიად მომავალს, უკვე ანხორციელებენ, უკვე დარაზმულნი მიდიან აღთქმის ქვეყნისაკენ და შესტრფის მათ მგოსანი—მათ, ვინც კაცობრიობას მზეს უბრუნებს, ვინც თავისი უმანკო სისხლის დაღვრით ადამიანთა ბედნიერებას ქმნის.

„მომავლის შვილნო, ამქუხრდეს დღეს ჩვენი დაფი-ნაღარა,
ვაქოთ, ვინც ჩაგრულთ სახსნელად უმანკო სისხლი დაღვრა“-ო.

ამბობს მშვენიერ საკაცობრიო მომავალის განხორციელების სურვილით გატაცებული მგოსანი და უმღერის ხან დასევდიანებული, ხან გაკაჟებული, მაგრამ ყოველთვის იმედით აღსავსე ჩაგრულ დევ-გმირთ, მომავლის შვილებს...

მგოსანმა იცის, რომ ადამიანი ამ აუტანელ ტანჯვის შემდეგ „იხილავს გოლგოთას“, ჩაგრულთა სისხლით მორწყულს, „დიდების შუქით შემოსილს, უჭკნობ ყვავილებით მორთულს“ და დასტკბება ადამიანთა „აღდგომით“ — **მზეს იხილავს.**

განთავისუფლებული კაცობრიობა „ცეცხლის ხიდს“ გასდებს ცისა და დედამიწის შუა და სიცოცხლის სიხარულს სრულად იგრძნობს, განიცდის... ბრძოლა ამ დიდებულ მომავლის განსახორციელებლათ ერთ წუთითაც არ შეჩერებულა.

იყო „დილა მოციმციმე, შვების ცრემლით ანათრთოლი“, როდესაც ადამიანი დაუახლოვდა დიად მომავალს, დროებით ნამდვილი სიხარულიც განიცადა, რადგან „ციურ მნათობს შესცინოდა, უკუნეთთან შენაბრძოლი“. შემდეგ „ჩაჰქრა დილა“ იგი...

მაგრამ კვლავ განათდა,—დიად მომავალისათვის, სრულ თავისუფლების განსახორციელებლათ—მომავლის შვილნი დღეს უფრო მედგრათ, უფრო მეტის გატაცებით განარძობენ შეუჩერებელ სვლას.

განხორციელდება ადამიანის საბედნიეროთ სიხარული და სიყვარული... მიწის შვილი მზეს იხილავს,—სამყაროის სრულ, დამთავრებულ მშვენიერ სიცოცხლეს „შეუერთებს თავის სიცოცხლეს.

„ცეცხლის კიბით“ ცას მისწვდება და მიწის შვილის თავისუფლებასა და „მზის სიცილს“ წრფელი გულიდან აღმოხეთქილ სიმღერას უძღვნის... „ცის კიდურზე ღამის სამოსს ცეცხლი წაეკიდება“ და ადამიანი ნათლად გაიგონებს „ზეამფრენ რეკას მონავარდე სხივებისას“...

და მღერის მგოსანი:—„უნდა სხვებსაც გააგონოს სხივ-გაშლილ განთიადის ოქროს სიმთა წკრიალი“—მომავლის ხმა.

სიმღერა მისი იმედიანი, გამამხნევებელია, რადგან იგი სიცოცხლის სიმღერაა... მაგრამ სევდით და ტანჯვით არის ნაკარნახევი მგოსნის სიმღერა, როდესაც ის დედამიწის ცხოვრებას ეხება და აღფრთოვანებულ სიხარულით და „მზიურ სიცილით“, როდესაც მგოსანი მზეს უგალობს.

მიწის ყოფნა აწმყოში ხომ მწუხარება, ტანჯვაა,—მეორისა კი სიცოცხლის სიცილი და „სხივთა ზღვის“ კისკისი...

მომავალი გზას უნათებს ჩვენს მგოსანს: „ცისა და მიწის შეერთება“, ადამიანის ბედნიერება ნათლად ეხატება და სევდა მისი „ქნარის სიმთა წკრიალისა“ სიხარულის დიდებულ ჰარმონიაში კვდება, იკარგება... და მღერის მგოსანი განთიადის მოლოდინში, მღერის ცრემლ-ნარევ სიხარულით ადამიანის ტანჯვასა და კოსმიურ სიცოცხლის მშვენიერებაზე... ამოდის... ნათდება.

მგოსანი ამომავალ მზეს შეჰხარის, შესტრფის...

ადამიანი „ცეცხლის კიბის“ აღმართავს შესდგომია „ცისა და მიწის შესაერთებლათ...

VI

უკანასკნელი დროის ს. აბაშელის შემოქმედება სხვა გზით წავიდა. ეს გზა არ ჰგავს იმას, რომლითაც ვიდოდა მგოსანი წინათ, მიუხედავათ იმისა, რომ სწორეთ ეხლა უნდა გამოეაშკარავებია ს. აბაშელს თავისი მხატვრული „მე“, რადგან სწორედ დროც ხელს უწყობდა. ნაცად გზას ს. აბაშელმა აუხვია,—არ განუვითარებია იგი. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ იმ დიდმა გადატრიალებამ, რომელიც, როგორც კაცობრიობის, ისე ჩვენ ცხოვრებაში მოხდა, ყოველ შთაბეჭდილების გარეშე დასტოვა ჩვენი მხატვრული მწერლობა.

ჩვენმა ხელოვნებამ ვერ შესძლო ამ დიდებული დროის შეხება.—შეიძლება ვერც გაბედა.

ჩვენ მგოსნებში, თუ სხვა ხელოვნების წარმომადგენლებში, იმავე მხატვრულ პიროვნებათ ვხედავთ, რომელთაც ჩვენ ეს 8—10 წელიწადია ვიცნობთ, თითქმის უცვლელად იმავე გზით მავალთ. არავითარი წინსვლა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი სიმბოლისტების მოვლინებას, მათ შემოქმედებას.

ს. აბაშელსაც ეს საერთო მდგომარეობა თავის გავლენის ქვეშ აქცევს;—უნდა აშკარათ ითქვას, რომ ს. აბაშელი თავისებურობას თანდათან ჰკარგავს, ჰკარგავს თავის მხატვრულ „მეს“ დამოუკიდებლობას.

მაგალითად მას ძალიან ემჩნევა, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, ჩვენი სიმბოლისტების გავლენა, გავლენა ძლიერი. სიმბოლისტების გავლენა ჩვენ თანამედროვე მწერლობაზე საზოგადოთ უტყუარი ფაქტია,—ეს გავლენა უკვე ერთგვარ შაბლონათ გადაიქცა.

უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ როგორც ს. აბაშელი, ისე საზოგადოთ ჩვენი თანამედროვე მწერლობა ამ მდგომარეობას თავს დააღწევს და ფართო გზაზე გამოვა თავის დიდებულ საქმის განსახორციელებლად—ნამდვილ ხელოვნების „მზის სახილველად“...

მ. წულუკიძე.

ძვირფასო არისტიდე: მანუფაქტურას, პაპიროსს და ასანთს და სხ. საბჭოთა მთავრობა რეკვიზიციას უშვება ჯარის სასარგებლოთ და ამიტომ ყველაფერი ეს უნდა მოიმარაგო. თუ რამე მაქ გასასყიდი,—გაყიდე ახლავე, მეტი ფული იშოვე, ნუ დაზოგავ მას და ყველა ეს პროდუქტები შეიძინე; მანუფაქტურა აქ არშინი 1000—1200 მან. იყიდება, პაპიროსები 140 მან., ასანთი—25 მან. თუ გაქვს დენიკინის ფული ახლავე უნდა გაასაღო, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა მას სპობს ხმარებიდან. 1920 წლის დასაწყისიდან ჩავეწერე კომუნისტურ პარტიაში და აქამდი ამ პარტიაში ვირიცხები, ამიტომ დაწვრილებით ვიცი სად, როდის და რა უნდა აქეთის ბოლშევიკებმა. მუსავატელების ოდგების შემდეგ ბევრი დააპატიმრეს, ზოგიერთი ყოფილ მთავრობის მართველი პირები დახვრიტეს კიდევაც.

აქ ჩვენი ძალა-უფლება გამაგრდა; მაგრამ კონტრ-რევოლიუცია თავის მხრივ სადარაჯოზე სდგას. ჩვენც მას ვებრძვით მთელი ძალღონით; ეხლა ჩვენ ყოველ გზით ვსცდილობთ მოვეხმაროთ საქართველოსა და სომხეთის მუშებსა და გლეხებს(!) მე მგონია, რომ ეს ახლო მომავალში მოხდება. ეხლა კი თავის პროფესიის მიხედვით ვმსახურობ გეგეჭკორის კომისარიატში კონტროლიორათ. სიმართლე გითხრა, მე როგორც პარტიული ამხანაგი კონტროლს ვუკეთებ ყოველგვარ სამუშაოს, რომელსაც ასრულებენ სხვა პირები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ პარტიასთან. ვღებულებ 10,000 მან. ვცხოვრობ, რეკვიზიციით აღებულ ოთახში ყოველნაირი მოწყობილებით, ფანჯრები ქუჩაზე გადის, ერთი სიტყვით მე მეტის მეტად კარგათ მოვეწყვე და, რა თქმა უნდა, თუ საქართველოში მთავრობა შეიცვლება, მე და ჩემი ზოგი ამხანაგი პირველათ ყოვლისა ჩავალთ ტფილისში სტამბების ნაციონალიზაციისთვის, ქაღალდების რეკვიზიციისთვის და სხ.

თუ შენ უადგილოთ ხარ,—ჩაეწერე მებეჭდავეთა კავშირში და გაიგე აქვთ თუ არა მათ კომუნისტური იაჩეიკა. თუ არის, მოსძებნე რეკომენდაცია და ჩაეწერე პარტიაში და თუ მე ამ დროისთვის ჩამოვედი, მოგაწყობ შენ და კარგ ადგილზე მოხვდები. მე კარგად მაცვია და მახურავს. ჩემზე ნუ სწუხარ. ჩვენთან საშინელი სიძვირეა, დღეში არ გვყოფნის 300—400 მან. სხვა რამის შესახებ ხომ ნუღარ იკითხავ. არისტიდ, თუ შეგიძლიან, გამომიგზავნე ამხანაგის ხელით ერთი გირვანქა თუთუნი, ან პაპიროსები. მეტი არაფერი მაკლია, გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა ადერბეიჯანს! შენი შურა.(სდს).

უცხოეთი

ინგლისი

ინგლისი და რუსეთის საბჭოთა მთავრობა. გაზ. „ტანის“ კორესპონდენტის გადმოცემით 21 მაისს ინგლისის კაბინეტი ლოიდ-ჯორჯის თავმჯდომარეობით დიდ ხანს მსჯელობდა საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის საკითხის შესახებ; დადგენილება გამოტანილი ვერ იქნა, რადგან დაისახა ორი მიმდინარეობა: ერთი ლოიდ-ჯორჯის მეთაურობით მოითხოვდა ახლო მომავალში რუსეთთან მუდმივ კავშირის აღდგენას; მეორე—კერზონის მეთაურობით მოითხოვდა, რომ ამ კავშირს წინ წამძღვარებოდა საბჭოთა რუსეთის მიერ თავის პოლიტიკის საერთაშორისო უფლებრივ და დიპლომატიურ ნორმებთან შეთანხმება. ენზელის აღება ბოლშევიკების მიერ, მიჩნეულია როგორც დარღვევა საერთაშორისო უფლებებისა, გადაიქცა დიდ არგუმენტათ კერზონის მომხრეებისათვის.

საფრანგეთის და ინგლისის პრესა კრასინთან მოლაპარაკების შესახებ. „ტანი“ აღნიშნავს რა მოლაპარაკებას კრასინსა და ინგლისის მთავრობას შორის და მოსალოდნელ დადებით შედეგებს ამ მოლაპარაკებიდან, სწერს: „ცხადია, რუსეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის პროექტი უარყოფილ უნდა იქნას, რაკი რუსეთს არა აქვს საკმაო გასატანი ნედლი მასალა და არც ტრანსპორტი. ამიტომ, რუსეთის დელეგაცია ჰფიქრობს დააინტერესოს მოკავშირეები ოქროთი, გადაჭრით მოითხოვს რა, რომ ეს ოქრო გამოცხადებულ იქნას საბჭოთა მთავრობის საკუთრებათ. შემდეგ გაზეთი მიდის წინააღმდეგ ამგვარ აქტისა, რაკი პირველად ყოვლისა—მოკავშირენი ამ ოქროს ვეღარ მოიხმარებენ რუსეთის ძველი ვალების გადასახდელათ, და შემდეგ ბოლშევიკების მიერ სახელმწიფოს ოქროს ფულის კონფისკაცია ამ აქტით ცნობილი იქნება ფაქტიურათ.

გაზეთი „დეილი მეილი“ აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც სწარმოებდა მოლაპარაკება კრასინთან, ინგლისის ტრედ-იუნიონისტების გაზეთის კორესპონდენტი და სხვა ინგლისელები, ციხეში სხდნენ.

ლიბერალური პრესა ამ მოლაპარაკებას თანაგრძნობით ეგებება; მაგ. „დეილი ნიუს“ ეს ნაბიჯი მიზან შეწონილათ მიაჩნია. სოციალისტური გაზეთი „დეილი ჰეროლდი“ ესალმება კრასინის ჩამოსვლას; იგი მოლაპარაკებაში ნიტტისა და ლოიდ ჯორჯის რეალისტურ პოლიტიკის გამარჯვებას ხედავს.

ს. დ.-პარტიაში

ბორჯომის ხეობა. პარტიული მუშაობა რაიონში მოისუსტებს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მეტად ნაკლებია მომუშავე ხელმძღვანელნი და მოისუსტებდა ამ შემთხვევაში თვით ცენტრიც (ბორჯომი). სოფლად რომ ამხ. შახნაზაროვი არ მოდიოდეს დრო გამოშვებით,—მუშაობა ზოგ ადგილას მთლად მიწყდებოდა, რაც თემის თავმჯდომარეთ აირჩიეს, ამასაც დრო ძალიან შეუმცირდა, ასე რომ ხშირად ვეღარ დაიარება ხოლმე სოფლად. სხვას ვერავის ნახავთ. ბორჯომის კომიტეტში კი 9—10 წევრია. ამ ახლო წარსულში მოხდა ახალი არჩევნები კომიტეტის წევრებისა და სრული იმედიც არის, რომ მუშაობა მალე გამოცოცხლდება. კარგი იქნება და მიზან-შეწონილი იარჩიკური სისტემა ორგანიზაციებისა და ადგილობრივად მუშაობა-პროპაგანდა. ამისათვის კი საჭიროა მომზადებული პირები და მათი მოგზაურობა სოფლად. ცენტრი მომზადებულია საკმაოდ. მას ბევრი საშუალება აქვს ხელთ გათვითცნობიერებისათვის. მივაშუროთ სოფელს, გავამაგროთ საძირკველი.

საზაფხულოთ ვისარგებლოთ შემთხვევით აგარაკებზე, საჭიროა ლექციების მოწყობა და სხ. შარშან შემთხვევა მქონდა მომევლო აგარაკები. ამგვარ მუშაობას ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. იყო დაუსრულებელი უაზრო დროს ტარება და მეტი არაფერი და ეს იმ დროს, როცა ყოველი წუთი, ყოველი საათი უნდა მოვანდომოთ სახელმწიფოებრივ შემოქმედება-აშენებას, პრინციპების გარკვევა-გაშუქებას და დემოკრატიის გათვითცნობიერებას. ამას წინათ ბორჯომში მომხდარ პარტიულ ყრილობას დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გაგლოევი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე ამხანაგებზე, მეტადრე პროვინციელებზე, მისმა მოხსენებამ. ზაფხულში იმედია დამფ. კრების წევრნი მივარდნილ კუთხეებსაც ეწვევიან, რითაც დიდ სარგებლობას მოუტანენ სოფლის მასას, ერთი ათად წინ წასწევენ მიდუნებულ პარტიულ ცხოვრებას. **მოგზაური.**

მუშათა შორის

თფილისის ცენტრალურ ტელეგრაფის დეპეშების დამტარებელ მუშებში აღნიშნულ დარგის მუშებში ვერ ნახავთ იმ სულიერ საზრდოს, რაც საჭიროა პროლეტარიატის კულტურულ-ზნეობრივ ამაღლებისათვის; მართალია, აქ არსებობს დაბალ მუშა-მოსამსახურეთა სექცია, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ სექციას ვერ ინიციატორობენ ღირსეულნი. მე ვერ ვნახე მთელი წლის განმავლობაში, რომ მათ შეეტანოთ მუშებში რაიმე კულტურული ცვლილება, ხდება კი პირიქით. ჯერ კიდევ შარშან ნაცვლად იმისა, რომ გამართონ კრებები, წაიკითხონ ჟურნალ-გაზეთები,—თვით სამსახურში მუშაობის ასრულების დროს მიუსხდებოდნენ მაგიდას და იწყებდნენ კარტის თამაშს. ასეთი საქმე სამსახურის დროს ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა. მკითხველი მიხვდება და გაითვალისწინებს მათ სულიერ ბაგაჟს; როდესაც საერთო კრება მოხდა და უმტკიცებდნენ ზოგი ამხანაგები, რომ კარტის თამაშს ფულის წაგება მოგება და შემდეგ კიდევ სხვადასხვა არა სასურველი ნაბიჯების გადადგმა,—ამ დროს ჩვენი სექციის „ბელადები“ ამტკიცებდნენ, რომ კარტის თამაში გულის გასართობი საგანია და სხვა არაფერიო; ამაზე მათი დამქაშები კვერს უკრავდნენ და იძახოდნენ—ჩემ ჯამაგირს მინდა მე წავაგებ კარტში, მინდა გადავყრიო. აი მათი პასუხი. ამ ამბავმა მიაღწია ოლქის უფროსის ყურამდე. როცა ბ. გზირიშვილმა ზარიძეს მთელი თვის ჯამაგირი მოუგო და ვითომ პირველს მეორე შეეცოდა,—მოგებული ფულიდან 15 მან. დაუბრუნა, რათა იმ წუთში მშიერი არ დარჩენილიყო,—ამ დროს შემოსწრო ოლქის უფროსის თანაშემწემ და რაიონული გამგეობის თავმჯდომარემ შალიკიანმა და გაჩეჩილაძემ, რაზედაც შესაფერი ოქმი იქნა შეყენებული და დამნაშავენი სამსახურიდან განდევნილი იქნენ, როგორც მუშაობის ასრულების დროს დაწესებულებაში კარტის თამაშობაში შემჩნეულნი. ამით მოისპო თამაშობა კარტისა. დათხოვნილი პირები გაეშურენ ფოსტა-ტელეგრაფის პროფ. კავშირის ცენტრალურ გამგეობაში, რათა ისევ ყოფილიყვნენ მიღებულნი სამსახურში. ბ. ბ. ფედერალისტებმა, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში ანარქიისა და არევდარევის მეტი არაფერი შეუტანიათ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში, აღუთქვეს დიდი დახმარება; მაგრამ მათმა დახმარებამ ვერ გასჭრა, რადგან მათი მოქმედება მიზან-შეუწონელი და უსაფუძვლო ყოველთვის, შალიკიანის განკარგულება კი იყო ჭეშმარიტი და მტკიცე.

მაგრამ ეხლა კარტის მოთამაშეებს ბელადმა გზირიშვილმა გამონახა, მიაგნო სამიკიტნოს. იწყო სისტემატიური სიმთვრალე (თუმცა შარშანაც ასე სჩადიოდა), თვითონ ხომ არას დროს არ მუშაობს; სხვებიც მიჰყავს სამუშაოდან და ახარჯვინებს ხისიათ ღვინოს. შემდეგ დამთვრალი მოდის დაწესებულებაში და ისეთ ჰქა-ქუხილს ასტეხს, რომ არამც თუ ტელეგრაფის უწყება არ დარჩება „უპატივცემლო“—თვით მეზობლებიც მოიყრიან ხოლმე თავს.

ასე იქცევა თვიდან თვემდე; ჯამაგირის დროს უჭირავს ხელში ქაღალდი და ჰკრეფავს მიკიტნის ხვედრს ხისიათ ნახარჯ ფულებს. ასეთმა სისტემატიურმა სიმთვრალემ გამოიწვია დაწესებულებაში მუშაობის სიზანტე, ყვირილი, ჩხუბი და სხვა მრავალი არა სასურველი ამბები.

თუ რომელიმე მუშამ შენიშნა ვაჟბატონს და გააფრთხილა ასეთი უდიერი საქციელისათვის,—წამს მივარდება ყვირილით და ეტყვის: თუ ჯაშუში ხარ,—წადი ადმინისტრაციას მიუტანე ამბავი; ამასაც არ დაჯაბულდება და მუშტი-კრივით დაუწყებს გამასპინძლებას. მაგრამ აბა რომელი მუშა ეტყვის რასმეს და ან რა უნდა წაუღოს ამბავათ კანტორის უფროსს, როცა იგივე კანტორის უფროსმაცა და ადმინისტრაციამაც კარგათ იციან და ხედავენ ყოველივეს.

უკანასკნელ ხანებში მუშათა მაგიდის გამგემ ამხ. ვ. წულაძემ მოუწოდა მუშათა კლასს, რომ არ ესარგებლათ—ზედმეტ პურის ბარათებით და არ ჩაედინათ ბოროტ-მოქმედება. ეს აზრი ზოგიერთ მუშებმა მოიწონეს. ამის შესახებ შესაფერი სიტყვა სთქვა მიმინაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ბოლო უნდა მოეღოს ბოროტ-მოქმედებასო. ამაზე სექციის თავმჯდომარე ბ. ყარანაშვილი გაცეცხლდა და უთხრა: წადი, იჯაშუშე და დააბეზღე მუშებიო!

ასეთ მდგომარეობაშია ზემოთ მოხსენებული სექცია. საჭიროა ოლქის უფროსმა მიაქციოს ყურადღება და ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო ათას გვარ ბოროტ-მოქმედებას. ჩვენი ჭირის საწინააღმდეგო წამალი ჩვენვე უნდა გამოვნახოთ, თორემ თუ სხვამ გამონახა და მოგვარჩინა,—ჩვენთვისვე არ იქნება კარგი.

დროა გაიწმინდოს უსუფთაობისაგან ტელეგრაფი!..

გიორგი ზუბაშვილი.

ამშენებელ მუშათა პროფესიონალურ კავშირში. კავშირის გამგეობამ 16 ივნისის სხდომაზე დაადგინა, ჩასთვალოს კავშირიდან გამორიცხულათ ის წევრები, რომელნიც ივლისის 15-მდე არ შეიტანენ საწევრო გადასახადს კავშირის კასაში.

გამგეობა მიუთითებს წევრების კავშირის მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაზე, რომელიც გამოწვეულია საწევრო გადასახადის შეუტანლობით, რის გამო მთელი რიგი ზომები რაც მიმართული უნდა იქნეს კავშირის წევრების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ განუხორციელებელი რჩება.

წევრებმა უნდა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას, უნდა შეკავშირდენ თავის კავშირის გარშემო და საწევრო გადასახადის თავის დროზე შეტანით გააძლიერონ თავიანთი ორგანიზაცია.

— გამგეობის ის წევრები, რომელნიც წესიერად არ ესწრებოდნენ გამგეობის სხდომებს, გამორიცხულნი არიან გამგეობიდან. ასეთები არიან: გოგაძე, მაისურაძე, ყორაშვილი. მათ მაგივრათ მოწვეულნი არიან კანდიდატები. **ს. ჭიჭინაძე.**

ხელზე მოსამსახურეთა კავშირში. 18 აპრილიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით კლუბები და რესტორანები იკეტება ღამის 11 საათზე, ამ განკარგულებამ ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენი კავშირი. ჩვენს კავშირს ჰყავს მრავალი უმუშევარი, რომლების მოთავსება ადგილებზე ასეთ პირობებში ყოვლად მოუხერხებელია. გარდა ამისა წარმოებები იკეტება, შტატის შემოკლება ხდება და უმუშევართა რიცხვი თანდათან იზრდება. ასე რომ საკითხათ დასმულია კავშირის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი. ყოველივე შემოქმედებითი მუშაობა შეწყდა და კავშირში მარტო უმუშევართა უიმედო ხმაურობა გაისმის.

ამის შესახებ ჩვენ მივმართეთ პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს სეკრეტარიატს, რომელმაც დაადგინა: როგორც პირობები შეიცვლება (მხედველობაში ჰქონდა მას ადერბეიჯანთან ომი) ვაჭრობის დრო გადიდებულ იქნასო. ამაზე მას უნდა გაეწია შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე. ეს ასედაც ხდება. და ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მხარს დაგვიჭეროს და დროს გაადიდებს. უკიდურეს შემთხვევაში გამგეობა იძულებული იქნება გადადგეს, რადგანაც მას არ ჰსურს მის ძალებზე მოკვდეს ის მებრძოლი ორგანიზაცია, რომელიც სამი წელიწადია დარაჯად ედგა რევოლიუციას და შემდეგ დამოუკიდებლობას. **იონი.**

პროვინცია

ქსნის თემი. სოფ. ახალგორი დაშორებულია ქ. დუშეთიდან 25 ვერსის მანძილზე. გზა მთა-გორაკებს შორის მიიკლაკნება. მცხოვრებთა რიცხვი 1400 კომლამდე აღწევს. თვით ახალგორში პატარა ბაზარიც არის. ხალხი ხვნა-თესვას მისდევს, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელ ქსნის ხეობაში მოსავალი ძალიან მცირე იცის და ხალხს ჰყოფნის მხოლოდ 5—6 თვე. ხვნა-თესვას გარდა აქ მისდევენ მეცხვარეობას და საქონლის მოშენებით ივსებენ წლიური სარჩოს დანაკლისს. ქსნის რაიონიდან ყოველ წლიურად 4000 ფუთამდე მატყლი გააქვთ.

ხალხი მეტად განუვითარებელია, ამ მხრივ ისინი თითქმის არ ჩამორჩებიან მთიულ ოსებს. აქ არის თემის გამგეობა, სავაჭრო ამბულატორია, ტყის გამგეობა, სკოლა; გაყვანილია ტელეფონის ქსელი, რომელიც უერთდება ყველა მაზრის თემებს და სამაზრო ერობას. არის ფოსტის დაწესებულება, ექიმი-ფერშალი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ინტელიგენტური ძალა არის აქ თავშეყრილი,—ამას ვერავითარი გავლენა ვერ მოუხდენია ადგილობრივ ცხოვრებაზე. ინტელიგენციასა და ხალხს შორის დამოკიდებულების ძაფი გაწყვეტილია. მიზეზი ამის კი ის არის, რომ თვით ამ ინტელიგენტს შორის არ არის კავშირი. ისინი შორიდან შეჰყურებენ ერთი მეორეს. საჭიროა დიდი შრომა განსაკუთრებით შორეულ სოფლებში, საჭიროა, რომ შრომის მოყვარულმა ინტელიგენციამ შეიყვაროს მთებში გავარდნილი სოფელი და შეუგნებელი, განუვითარებელ ხალხში შეიტანონ ცოტაოდენი მაინც კულტურა. ამ მხრივ განსაკუთრებული ენერგი სოფლის მასწავლებლებს უნდა მოეთხოვოს და იმათ ენერგიამ უნდა შესძლოს ყველა ამის გადალახვა. მაგრამ ამ მხრივ მთიულ სოფლებს ბედი არ ჰქონებიათ. მაგალითად სოფელ ყანჩევთში ორი მასწავლებელი გამოუცვლიად ამ მოკლე ხანში და ვერც ერთ მათგანს ხალხთან კავშირით, მათთან დაახლოვებით, მათი სიმპატია ვერ მოუპოვებიათ. მართალია ძნელია გაუნათლებელ მთის ხალხში მუშაობა—მაგრამ საჭიროა მეტი სიმტკიცე. გული აგტკივდება, როცა შემოგეხვევა პატარა ბავშვები, უმასწავლებლოთ დარჩენილები. მათი პატარა თვალები შემოგცქერის გაფაციცებით, თითქოს ლამობს გაიგოს, მასწავლებელი ხომ არ მოვაო. ლუხურის საზოგადოება დაშორებულია ახალგორზე 16—18 ვერსით. აქაურ მცხოვრებთა უმრავლესობა ოსებია. მცხოვრებთა რიცხვი 700 კომლამდე აღწევს. განვითარების მხრივ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც სოფ. ყანჩევთში. სკოლისათვის აქ ეხლა არის მზადება და ვფიქრობთ, რომ სექტემბრისთვის ერობა ამ საქმეს მოაგვარებს. სოფ. ზახორში არის საექიმო პუნქტი ექიმის თანაშემწით. მცირე რიცხოვანი მილიცია უძლურია ალაგმოს ქურდ-ბაცაცები, რომლებიც დიდათ აწუხებენ მშვიდობიან მცხოვრებთ. უმეტესობა ლუხურის საზოგადოების მცხოვრებთა შეგნებული მომხრეა მთავრობის. მაგრამ უმცირესობა ადვილათ აჰყვება ხოლმე ყოველგვარ ჯურის „პროვოკატორებს“, რომლების უტაქტიკო მოქმედებამ ცეცხლის ალში გახვია ჯავის ხეობა. ლუხურის საზოგადოებიდან, სახელდობ სოფ. ტბიდან და არდირიდან ვიღაც კოსტა თვაურს ცხრა კაცი წაუყვანია და შეერთებია ჯავის აჯანყებულებს. აქ უწინ თურმე თარეშობდა ვიღაც ბაბაევის ქალი, რომელიც ჯავის აჯანყებულებთა ერთი მეთაურთაგანია. ლუხურის საზოგადოების საერთო ყრილობამ შეჰფიცა მთავრობას ერთგულება და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება—ავაზაკებთან ბრძოლაში. აღუთქვა დაუყონებლივ გადასცენ ყველა დეზერტირები და სხვა. მაგრამ ჩვენ ვიცით მათი ფიცის ფასი. ის ძლიერია მაშინ, როცა ადგილობრივი „პროვოკატორებისაგან“ დაბრმავებული ხალხი ჰხედავს ძალას. ადგილობრივი მცხოვრებნი გაკვირვებაში ვარდებიან, როცა ვეუბნებით, რომ წითელმა არმიამ ხელჩართულ ბრძოლაში საქართველოს გვარდიისა და ჯარის წინაშე დაიჩოქა. ეს ზღაპრათ მიაჩნიათ. საჭიროა თვალყური ედევნოს განსაკუთრებით მთიულეთს. აქეთკენ უნდა ესწრაფებოდეს შეგნებული, ენერგიით სავსე ინტელიგენცია. **მ. ხუხუნაიშვილი.**

საყულიის თემი (ქუთ. მაზრა). მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ თემში კულტურული და პოლიტიკური მუშაობა არ სწარმოებს: არსებული პარტიული კოლექტივები არ მოქმედობენ, მარტო სახელით არსებობენ; საერთო კრებები არ ხდება, არ კეთდება მოხსენებები დღევანდელ მდგომარეობის შესახებ, კოოპერატივების და სამკითხველოების მოქმედება მოდუნებულია. მომუშავე ძალები დაქსაქსულია. ასეთი მდგომარეობით სარგებლობენ ყველა ბნელი ძალები და აშკარათ ეწევიან ქურდობა-ყაჩაღობა-შანტაჟისტობას და ჩვენი სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლას. დეზერტირობასაც კი აქვს ადგილი. უკანასკნელ მობილიზაციის დროს ნაკლებათ გამოცხადდნენ; ვინც გამოცხადდა, ისიც უკან დაბრუნდა მიღების შემდეგ, თემის გამგეობა უძლურია მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ომში წასულთა ადგილებს არავინ ამუშავებს, რაც უმწეო მდგომარეობაში აგდებს უმუშახელოთ დარჩენილ ოჯახებს. ზოგიერთი ახალგაზრდები სამშობლოს დაცვის საქმეს აშკარათ ღალატობენ. არ ცხადდებიან ჯარში, არ ეწერებიან გვარდიაში და გათამამებულნი მოქალაქეებს მუქარის წერილებით ფულს სთხოვენ. 15 მაისს საყულიაში მცხოვრებ მოქ. გიგო არშიძეს ეზოში ჩაუგდეს მუქარის წერილი, სთხოვდენ, რათა მიეტანა 7000 მანეთი დანიშნულ ადგილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებოდენ. თემის მილიციის უფროსის ა. სანებლიძის და გვარდიელის ბარ. არშიძის მეცადინეობით ბოროტმომქმედნი ჯანაშია, არშიძე და ჯაოხაძე დააკავეს და გაგზავნეს ქუთაისს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გაანთავისუფლეს; ამის გამო ადგილობრივი ადმინისტრაცია ხელახლათ იძენს საქმეს. როგორც სჩანს შანტაჟისტებს მაგარი ორგანიზაცია აქვთ მოწყობილი და ვიღაცის გამოცდილი ხელი ხელმძღვანელობს მათ გამოსვლებს. თემის გამგეობას მეტი სიფხიზლე და ენერგია მოეთხოვება, რომ საზოგადოების გამხრწნელ მოვლენებს ალაგი არ ჰქონდეს თემში. აშკარა ქურდ-ბაცაცები და დეზერტირები თამამათ დასეირნობენ სოფლათ, მაზრის ერობის ადმინისტრაცია თემის ადმინისტრაციისგან წარდგენილ ბოროტ-მომქმედთ თავდებით, თუ სხვა საშუალებით, მაშინვე ანთავისუფლებს, რაც იწვევს ხალხში უკმაყოფილებას მთავრობისადმი.

ს. სხივიშვილი.

ნოსირის თემი. თემში შიმშილობაა, შარშანდელმა მოუსავლობამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო სოფლის მუშაგლეხობა. იშვიათია ოჯახი, რომ სარჩო იანვრამდე მიეყოლოდეს. ამას დაუმატეთ ჩალის უქონლობა და პირუტყვის შიმშილი და ნათელი იქნება, თუ რა გაჭირებას განიცდის ხალხი. ოჯახი რამოდენიმე წევრთაგან შესდგება და როგორ გაუძლებს სოფლელი გამოკვებოს ნაყიდი სიმინდით ცოლშვილი? სიმინდი საყიდლათაც აღარ იშოვება. ერობის სამმართველო ყოველ დღე სავსეა იღლიაში ტომარ-ამოდებულ დედაკაცებით, ბავშვებით: ემუდარებიან — „გვიშველეთ, გვიხსენით შიმშილით სიკვდილისგანო“. სათესლე სიმინდიც არ მოეპოვება. მაზრის ერობამ გამოგზავნა რამდენიმე ასეული ფუთი სიმინდი, მაგრამ ეს წვეთი შეიქნა ზღვაში.

პლ. ოხრობეთელი.

თეატრი და ხელოვნება

მუშტაიდის კლუბი. კვირას, 20 ივნისს, რკ. გზ. ცენტრ. ქ. გ. კომისიასთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილ იქნა „ქრისტინე“. საზოგადოება, როგორც ყოველთვის, ეხლაც საკმარისათ დაესწრო, ხალხს უყვარს ეს პიესა, მაგრამ არა მგონია რომ ვინც კი კვირას წარმოდგენას დაესწრო, კვლავ მოენატროს მისი ნახვა. დიდი მოთმინება უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ გაუძლოს ისეთ წამების ცქერას, როგორიც ეს პიესა აწამეს ამ ღამეს. გარდა ორი-სამი პიროვნებისა, არც ერთი თავის ალაგას არ იყო. ქ-ნ მაჭავარიანს (ქრისტინე) რომ კარგი ტირილი არ სცოდნოდა, მთლათ საბრალო იქნებოდა ამ როლში. სუსტობდა ქლენტიც (დათია), თუმცა ძლიერ დაკვირვებული თამაში იცის და აქაც არ აკლებდა მეცადინეობას, მაგრამ საკმარისათ მაინც ვერ შესძლო განსახიერება როლის, ასევე ითქმის გოგიაშვილზედაც (მარიკა), არა უშავდა პავლიაშვილს (ლოლუა). სრულიათ შეუფერებელი იყო სონას როლში ქ-ნი ძაძამია. კარგი იყო მხოლოდ ლითანიშვილი. ეს სცენის მოყვარე დიდ იმედს იძლევა მომავალში. საერთოდ პიესის მხოლოდ აჩრდილს ხედავს ადამიანი და მეტს არაფერს. ცხადათ ემჩნეოდა რეჟისორი ბერიშვილის სისუსტე. არა ნაკლებათ აქვს უწესობას ადგილი დარბაზშიც. სრული ანარქია მეფობს. არც საჯდომებია რიგზე დანომრილი, რაზედაც დიდ შეხლა-შემოხლას აქვს ადგილი, არც ვინმე გამწესრიგებელი და ადგილის მაჩვენებელი სჩანს. არის პაპიროსის წევა, რის გამოც სულის შემხუთველი ჰაერი სდგას. ბავშვების ტირილსა და წივილში ვერაფერს გაიგონებს ადამიანი. აქვე არის ბუფეტი, მაგრამ ამით მხოლოდ სპეკულიანტებს შეუძლიან ისარგებლოს,—ისეთი საზღაპრო ფასები ადევს ყველაფერს და მუშას ვინ მისცა ტომრით ფული, რომ აქ რამეს ყიდვა გიბედოს. აი ასეთი „დემოკრატიული“ კლუბია მუშტაიდი დღეს. არ ვიცი, რას ფიქრობს რკ. გზ. ცენ. ქ. გ. კომისია, (რომლის ხელშიც დღეს ეს კლუბია), როცა ყველა ამას ხედავს და ან კიდევ რას ამბობს რკინის გზის დემოკრატია, რომელიც მგონი პროცენტებსაც იხდის ჯამაგირიდან კულტურულ საქმეზე.

სცენის მოყვარე.

განცხადებანი

დამაარსებელი და გამგე ყოფილი
სრულუფლებიანი
გიმნაზიის
ი. ძ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს სექტემბრისთვის მოსამზადებლად: 1, 2, 3, 5, 6, 7 კლ. შესასვლელად გიმნაზიაში, რეალურ-კომერციულ, უ. 3. დ. სამიწისზომო, სამხედრო და სატეხნიკო-სასწავლებელში, აგრეთვე „გამოცდებს“: მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: 9—11 ს. 4—6 ს. პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქ. № 5) ერთი მოწაფე მიიღება სრული „პანსიონით“. (2021 8—2)

მეწაღის იარაღები
ვისაც უნდა ისწავლოს მეწაღეობა, იმათ არ უნდა დაივიწყონ
სახელოსნო პატრიკიანისა
სადაც იშოვება სრული კომპლექტი იარაღებისა. იკითხეთ: „სერებრიანი რიადი“ № 37, ტ. ი. პატრიკიანი, (2040 3—1)

გამგზავრების გამო
იყიდება ნივთები
მებელი, როიალი, ხალიჩები, ჭურჭლები, საკერავი მაშინა ზინგერისა და სხვა საოჯახო ნივთები. ნახვა შეიძლება დილის 10—2 ს. და საღ. 4—6 ს. ბებუთოვის ქ. № 54, ბინა 1, ზემო სართულში. (2030 1—1)

რკინის აკვანი
ახალი, ლამაზი და იყიდება იაფათ, იკითხეთ: „სერებრიანი რიადი“ № 37, პატრიკიანცი. იქვე იშოვნება საგზაო კალათი, ვღებულობთ დაკვეთას და შეკეთებას. (2039 3—1)

იყიდება
საკერავი მანქანა-შკაფი
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე. 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული [illegible] სნეულებანი. ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ყოფილი I კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპ ვიკლევ მალეინის შეზხაპუნებით. ქიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ზ. უ. ალასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე **პოლოხი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1268 25—4)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48-6)

ექიმი
პ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეზხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე **პოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 9—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. № 2 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
ნ. მ. გაჩეჩილაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.